# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 6 აპრილი 2001 №61 (1334) | ფასი 50 თეთრი


# ალავესობა

UEFA CUP

| | |
|---|---|
| ალავესი | 5 |
| კაიზერსლაუტერნი | 1 |

| | |
|---|---|
| ბარსელონა | 0 |
| ლივერპული | 0 |



REUTERS ფოტოიდან

კოზმინ კონტრას ორი გერმანელებს

მატჩის წინ ლივერპულელთა მწვრთნელი ჟერარ ულიე გვარწმუნებდა: ელოდეთ ნებისმიერ ანგარიშს, თუნდაც 5:5, ოღონდ 0:0 არ იქნებაო. და რამდენჯერ შეაწუხეს მისმა შეგირდებმა ბარსელონელი მეკარე? არცერთხელ. ან ეგებ, მასპინძლები ბომბავდნენ ინგლისელთა კარს? ყმაწვილ მეკარე რეინას მხოლოდ ერთხელ მოუხდა ბურთის მოგერიება. და ერთიც: თუ ლივერპულელთა თეთრი ფორმა გეუცნაურათ, გეტყვით, რომ სწორედ ასეთი მაისურებით დაამარცხა მათმა ძველმა თაობამ ძველი ბარსელონელები შორეულ 1976 წელს — მას შემდეგ არცერთ ინგლისურ გუნდს „კამპ ნოუზე" აღარ მოუგია.

ფინალშია „ალავესი", გუნდი, რომელიც პირველად თამაშობს ევროტურნირზე. ცოტა ნაადრევი ხომ არაა ამის თქმა? კარგით, მაშინ ასე იყოს: თუ „ალავესი" საპასუხო მატჩში ამხელა უპირატესობას დაკარგავს, კაპიკი ყოფილა მისი ფასი და დიდება „ლაუტერნს".

„ალავესის" ხუთი გოლი. იცით, რამდენჯერ დაარტყეს ბასკებმა მეტოქის კარში? ხუთჯერ. ხუთი დარტყმა, ხუთი გოლი. მერე რა, რომ ამ ხუთიდან სამი პენალტითაა. თერთმეტმეტრიანის მოპოვებასაც ხომ გარჯა უნდა.

ის კინკილა გოლიც გერმანელებმა პენალტით გაიტანეს.

იხილეთ მეორე გვერდი



REUTERS ფოტოიდან

გავუგოთ გეორგ კოხს: ხუთი გოლი ნამეტანია...

## კორუფცია და სუფთა ხელები

3 2

საქმე აწყობილია: მატჩი ჩაწყობილია!

## ერთი ნაბიჯი ფინალამდე

გუშინ ქართველმა კადეტმა კალათბურთელებმა იტალიელი თანატოლები დაამარცხეს

FIBA SuproLeague

# კონკორდი 01-02

Euroleague

# ევროკალათბურთი გაერთიანდა!

ევროპის საკლუბო კალათბურთში დიდი დაპირისპირება დასრულდა. სამოყვარულო კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის (ფიბა) სუპროლიგამ და ევროპის საკალათბურთო ლიგების კავშირის (ულებ) ევროლიგამ სულ ერთი სეზონი იარსებეს ცალ-ცალკე. გაყრამ არც ერთს მოუტანა სიკეთე და არც მეორეს. ამიტომ დაპირისპირებული მხარეები ერთმანეთს მიუნხენში შეხვდნენ და დაადგინეს:

2001-2002 წლების სეზონში ევროპის უძლიერესი კლუბები ერთ ტურნირში იასპარეზებენ. შეჯიბრებას „ევროლიგა" დაერქმევა და ფიბა-ს ეგიდით გაიმართება. ულებ-ი ფიბა-ს სტრუქტურაში შევიდა და მომავალი ევროლიგის ეკონომიკურ საკითხებს მიხედავს.

მომავალ ევროლიგაში იასპარეზებს 32 გუნდი, რომელთაგან 21 უკვე ცნობილია.

იხილეთ მეათე გვერდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

UEFA CUP

## ფუხელ

უეფას თასი
ნახევარფინალი
პირველი მატჩები

### ბარსელონა 0:0 ლივერპული

ბარსელონა. «კამპ ნოუ»
90 000 მაყურებელი

| ბარსელონა | ლივერპული |
| --- | --- |
| რეინა, გაბრი, პუიოლი, ფ. დე ბური, სერხი, გვარდიოლა, კოკუ, ლუის ენრიკე (ხავი 72), რივალდო, ოვერმარსი (ზენდენი 72), კლუივერტი | ვესტერველდი, ბაბელი, ენრიკე, ჰიპია, კარაგერი, ჯერარდი, ჰამანი, მერფი (შმიცერი 60), ბერგერი (მაკალისტერი 83), ჰესკი, ოუენი (ფაულერი 73) |
| მწვრთნელი: ლორენს სერა ფერერი | მწვრთნელი: ჟერარ ულიე |

გაფრთხილება: ფაულერი, ზენდენი; მსაჯი: ჰელმუტ კრუგი (გერმანია)

### ალავესი 5:1 კაიზერსლაუტერნი

ვიტორია. «მენდისოროსა»
17 000 მაყურებელი

1:0, 2:0 კონტრა (20პ, 31პ), 3:0 კრუიფი (42), 4:0 ივან ალონსო (58პ), 4:1 ჰ. კოხი (68პ), 5:1 მაგნო (82)

| ალავესი | კაიზერსლაუტერნი |
| --- | --- |
| ერერა, კონტრა, ეგენი, ტელიესი, ჯელი, ტომიჩი, პაბლო (ასტუდილიო 60), დესიო, იბონ ბეგონია, კრუიფი (კარმონა 72), ივან ალონსო (მაგნო 78) | გ. კოხი, ბასლერი, რამზი, ჰ. კოხი, რატინიო, პეტერსონი (დომინგუში 46), ხრისტოვი, გრამოცისი, შტრასერი, კლოზე, ლოკვენცი (მარშალი 69) |
| მწვრთნელი: ხოსე მანუელ ესნალ პარდო | მწვრთნელი: ანდრიას ბრემე |

გაფრთხილება: ტელიესი, რატინიო, კონტრა, ბასლერი; მსაჯი: რუნე პედერსენი (ნორვეგია)



REUTERS

ხორდი, ძე კრუიფისა



REUTERS ბარსელონიდან

ლივერპულელი ემილ ჰესკი და ბარსელონელი რივალდო (№10)

### ჩეხეთი

XVIII ტური

დრნოვიცე 3:1 პლზენი

ჟიჟკოვი 2:1 სპარტა

# განიამ სიტყვას უგანა



**გეხსომებათ,** თბილისში ჩამოსულ რუმინეთის ნაკრებს „შტუტგარტის" თავდამსხმელი იონელ განია არ ჩამოჰყოლია. არადა.

განიას ჩამოუსვლელობის მიზეზიც ცნობილია. იტალიასთან მატჩში ლადისლაუ ბოლონიმ განია მოედანზე მაშინ შეიყვანა, როცა ყველაფერი დიდი ხნის გარკვეული იყო და მისი თამაში ვერაფერს შეცვლიდა.

ფეხბურთელი აღშფოთდა, მწვრთნელს საჯაროდ უსაყვედურა, სასტარტო შემადგენლობაში რატომ არ მათამაშეო და დაიფიცა, სანამ ბოლონია, ჩემი ფეხი აღარ იქნება ნაკრებშიო.

ამის მერე ლადისლაუ ბოლონის აღშფოთების ჯერი დადგა და განია ნაკრებიდან გააგდო.

იმ ამბიდან ათიოდე დღე გავიდა და იონელ განეა მიხვდა, რომ შეცდა. გუშინ „როიტერის" რეპორტიორთან სატელეფონო საუბარში მან სინანულით თქვა, ცხელ გულზე ისეთი რამ წამომცდა, რაც პროფესიონალ ფეხბურთელს არ ეკადრება და ბოლონის ბოდიშს ვუხდიო.

პასუხი მწვრთნელზეა, განიასივე სიტყვებით, ის მოუთმენლად ელის ბოლონისგან სატელეფონო ზარს და შერიგებისაკენ გადადმულ ნაბიჯს.

ჩვენ კი შევნიშნოთ, რომ საქართველოს ნაკრებისთვის იონელ განიას ყოფნა-არყოფნას ერთი ფასი აქვს, ჩვენებურები უგანიოდ რუმინეთთან შერცხვნენ და განიიანთან რისი იმედი უნდა ჰქონდეთ.

**გიორგი დარჯანია**

# სამი ვეშაპი ბათუმში: პორტი, პოლიცია, ნავთობი

**გადაწყვეტილი** ამბავია — „ბათუმს" ახალი მეპატრონე ეყოლება. ზღვისპირული გუნდის საკონტროლო პაკეტს თანაბრად გაინაწილებენ აჭარის შინაგან საქმეთა სამინისტრო, პორტი და „ნავთობბაზა".

წესით, ოფიციალური მოლაპარაკება გუშინ უნდა დასრულებულიყო, მაგრამ ეს პროცესი გადაიდო.

„საგანგაშო არაფერია, უბრალოდ, მომავალი პარტნიორები ცდილობენ, ყველაფერი ბოლომდე გათვალონ. მაისამდე ყველაფერის მოევლება, კლუბი შპს-დან სააქციო საზოგადოებად ჩამოყალიბდება, ყოველივე კი ერთობ წაადგება „ბათუმს" და მომავალი სეზონიდან საზრუნავად მხოლოდ მაღალი მიზნებისთვის ბრძოლა დაგვრჩება" — გვითხრა „ბათუმის" პრეზიდენტმა თემურ ბეჟანიძემ.

ახალი პერსპექტივით აღფრთოვანებულია „ბათუმის" მთავარი მწვრნელი ასლან ბალაძე. „ქალაქიდან და სპონსორებიდან მხარდაჭერას აქამდეც გვ-რძნობდით, მაგრამ ეს უკვე გრანდიოზული პროექტია, ახალი მეპატრონეები სოლიდური ფინანსებით მოდიან. გასათვლელ-გასაანგარიშებელი ჯერაც არის დარჩენილი, თუმც ერთი რამ გადაწყვეტილია — „ბათუმი" ევროსარბიელზე წარმატებული თამაშისთვის იბრძოლებს. შესაბამისად, გუნდში გარკვეული ცვლილებებია მოსალოდნელი, ბევრ ფეხბურთელს დავიმატებთ, არ არის გამორიცხული ლეგიონერების მოწვევაც. ყოველ შემთხვევაში, საამისოდ შესაძლებლობები კლუბს რეალურად ექნება" — ამბობს ბალაძე.

ბოლო ინფორმაციით, „ბათუმი" თბილისის „დინამოს" მსგავსად შპს-დ ჩამოყალიბდება და ეს პროცესი მომავალ კვირას დასრულდება.

**ბაატა ძმანტალიანი**

# თედორაძე ტავრიაში ოჯახიანად წავიდა

**„ბათუმის"** ახალგაზრდა ნახევარმცველი ბესიკ თედორაძე სიმფეროპოლშია და უკრაინის უმაღლესლიგელ „ტავრიაში" ისინჯება.

თედორაძე ორი წლის წინ შეუერთდა „ბათუმს" ჭაბუკთა გუნდ „კოლეჯიდან". ახალბედა ნახევარმცველს გუნდის ხელმძღვანელები ენდნენ და მასაც სისტემატურად უწევდა მეთერთმეტე ეროვნულ ჩემპიონატში ზღვისპირულ გუნდში თამაში. თედორაძეზე წლეულსაც დიდ იმედებს ამყარებდნენ ბათუმელები, მაგრამ ტრავმამ გარკვეული ხნით გამოაკლო იგი „ბათუმს". გორში, „დილა" — „ბათუმის" შეხვედრის შემდეგ, პრესკონფერენციაზე, თედორაძის ჯანმრთელობის ამბავი რომ ვკითხეთ, ბათუმელთა მთავარმა მწვრთნელმა ასლან ბალაძემ გვითხრა: „ბესო რამდენიმე დღის წინ სიმფეროპოლში გაემგზავრა, „ტავრიაში" ისინჯება და იქაურებს თუ თავი მოაწონა, უკრაინის ჩემპიონატში გააგრძელებს კარიერას".

„ბათუმის" მწვრთნელი უკრაინელთა პასუხს გუშინ ელოდა, მაგრამ ჯერჯერობით სიმფეროპოლიდან თედორაძესზე არაფერი სმენია. ისე კი გამორიცხული არ არის, თედორაძე მაინც დაშორდეს „ბათუმს", რადგან როგორც „კლუბის" პრეზიდენტ თემურ ბეჟანიძისგან შევიტყვეთ, თედორაძეებს ნათესავები ჰყოლიათ სიმფეროპოლში და მათი რჩევით ოჯახი უკრაინაში გადასულა საცხოვრებლად.

„ბესოს მამა მოვიდა ჩვენთან, გვითხრა, სიმფეროპოლში ვაპირებთ გადასვლას, ბიჭსაც წავიყვან, მტკივან ფეხზეც ვუმკურნალებთ, „ტავრიაშიც" გასინჯავენ და ჩვენი ურთიერთობა შემდეგ მოვაგვაროთო. ამიტომ არ არის გამორიცხული, ჩვენი და თედორაძის გზები გაიყაროს, თუმც ჯერჯერობით მისი ტრანსფერის მოთხოვნა არ ყოფილა უკრაინიდან, ამრიგად, თედორაძე კვლავაც „ბათუმის" ფეხბურთელია" — გვითხრა თემურ ბეჟანიძემ.

სავარაუდოდ იმის თქმაც შეიძლება, თუ თედორაძეები სიმფეროპოლში დაფუძნდებიან, „ბათუმს" ბესოსთან განშორება მოუწევს.

**ბაატა ძმანტალიანი**



ბესიკ თედორაძე




☎ (231) 7 17 58

იყიდება

ბინა ინდივიდუალური პროექტით აშენებული რვაბინიანი სახლის მესამე სართულზე.
საცხოვრებელი ფართი 250 მ². დამხმარე ფართი 80 მ² პირველ სართულზე.

ქუთაისში

ირაკლი აბაშიძის გამზირი, 18. კინოთეატრ "სულიკოსთან"

**სამშაბათს საქართველოს მეთორმეტე ჩემპიონატი მეორე ეტაპის პირველი ტურის მატჩებით განახლდა. მეშვიდე-მეთორმეტე ადგილებისთვის მებრძოლთა ქვეჯგუფში რუსთავის „გორდამ“ ბოლნისის „სიონს“ უმასპინძლა და მას შემდეგ, რაც 0:2 აგებდა, 3:2 დაამარცხა. მატჩის დელეგატის პატაკზე დაყრდნობით, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საგანგებო კომიტეტმა შეხვედრის შედეგი საეჭვოდ მიიჩნია და არ დაამტკიცა. დღეს 12 საათზე ფედერაციაში ამ საკითხის განხილვაა დანიშნული.**

# კორუფცია და სუფთა ხელები

**გორდა 3 — 2 სიონი**

## საქმე აწყობილია: მატჩი ჩაწყობილია!

— რამდენიმე წლის წინ თბილისში „დინამო“ — „უნივერსიტატეას“ უეფას თასის მატჩის სანახავად ჩამოსულმა ერთმა ჩვენმა რუმინელმა კოლეგამ საამაყო ამბად მოგვითხრო, როგორ შეწყვიტა ფიფას არბიტრმა იონ კრაჩუნესკუმ რუმინეთის თასის ფინალი და გუნდებს პირდაპირ მიახალა: ვხვდები, რომ ჩაწყობილ მატჩს ვმსაჯობ და არ გავაგრძელებო.

ვერ გეტყვით, რა ბედი ეწია იმ წელიწადს რუმინეთის თასს, მაგრამ ჩვენ ამჯერად სხვა რამ უფრო გვაინტერესებს. ერთი ჩვენი არბიტრის დაახლოებით მსგავს განცხადებას, ოღონდ უკვე ნამატჩევს გამოთქმულს, ამ ორი წლის წინ სულ სხვაგვარი რეაქცია მოჰყვა.

ეს იმის მაგალითია, რომ რუმინელებს ჩვენგან განსხვავებით, შეუძლიათ სიმართლეს თვალი გაუსწორონ — ეს სიტყვები საქართველოს ტელევიზიის პირველი არხზე შეეძლო მოესმინა „ჩვენი ფეხბურთის“ ერთი თვის წინანდელი გადაცემის ყველა მხილველს.

ახლაც, როცა ორიოდ დღის წინ ფედერაციის საგანგებო კომიტეტმა განაცხადა, ჩემპიონატში ჩაწყობილი მატჩი აღმოვაჩინეთ და გარიგების მონაწილეებს კუდით ქვას ვასროლინებთო, ეს ორნახევარი წლის წინანდელი სკანდალი ისე არ უხსენებია (ეგებ, არც გახსენებია) არავის, თითქოს არც მომხდარიყოს.

ჩვენ კი გაგვახსენდა და არა იმიტომ, რომ ის სიტყვები „ჩვენს ფეხბურთს“ სარბიელელმა უთხრა, არამედ იმიტომ, რომ ფედერაციამ არც გააცია, რეაქცია ისე მოაყოლა.

გინდა ასე ვთქვათ, გინდ ისე, ეს ყველაფერი ეჭვია. ეჭვია ისიც, რომ „სიონმა“ „გორდას“ დაუთმო და ეჭვია ისიც, რომ სამშაბათის მატჩზე სფფფ-ს დელეგატმა ლევან ყიფიანმა ჩაავლო ისეთ რამეს, რაც მასზე უფრო ფედერაციას, პოპულისტური ნაბიჯისთვის დასჭირდებოდა და გამოადგებოდა.

სადაც ფედერაციას გუნდების, იქვე ჩვენც ფედერაციის გულწრფელობაში დაეჭვების უფლება, ცხადია, გვაქვს.

და ბევრმა (სრულიად სამართლიანად) ფედერაციის ამ ნაბიჯში მორიგი ხრიკი დაინახა. ერთი შეხედვით, მართლაც გონივრულია, რუმინეთთან მარცხით აღელვებული ხალხის ყურადღების სხვა პრობლემაზე გადატანა. არადა, ნებით თუ უნებლიედ, ფედერაციამ მიზანში მოარტყა — ნაკრების წარუმატებლობას ფესვები სწორედ კორუმპირებულ ეროვნულ ჩემპიონატში აქვს გადგმული.

რატომაა ძნელი დასაჯერებელი, რომ ფედერაციას და არა ლევან ყიფიანს, რომელიც, ალბათ, სავსებით გულწრფელია, ეს ცრუხმაური მხოლოდ სანაკრებო თემაზე აზვირთებული ვნებათაღელვის ჩასახშობად სჭირდება? სფფ-ს დელეგატისვე სიტყვებს მოვიშველიებთ:

— ჯერ არ ვიცი, როგორ დავამტკიცებ, თამაში ჩაწყობილი რომ იყო. მატჩის დამთავრებისთანავე ვიდეოფირი მოვითხოვე, მაგრამ მითხრეს, ოპერატორი არ გვყავს და თამაში არავის გადაუღიაო. მე მაინც მჯერა, რომ სიმართლეს დავადგენ და ამაში თქვენი, ჟურნალისტების თანადგომის იმედი მაქვს — იმედს არ კარგავს ლევან ყიფიანი.

მსგავსი საკითხები არ წყდება ასეთ დონეზე — „მე მაინც მჯერა“.

ფედერაცის თანადგომის მოიმედე, მაგრამ მისგან არაერთგზის გაწბილებული ჟურნალისტებისგან განსხვავებით, სფფ-ს დელეგატს არ აქვს ჯერ ეჭვის და მერე ასეთი ვარაუდის გამოთქმის უფლება — „მე მაინც მჯერა, რომ სიმართლეს დავადგენ“.

ვიდეოფირი არ არსებობს. ასეთ დროს სად უნდა ეძებო სიმართლე, როგორ უნდა დაადგინო? და თუ დადგენილია, როგორ უნდა დაამტკიცო? ფირი რომ არსებობდეს, მაშინაც კი ძნელი იქნება რაიმეს დამტკიცება (და არა მტკიცება).

ასეთ დროს დამკვირვებლის კი არა, თავად მატჩის მონაწილის აღიარებაა საჭირო, რაც საქართველოში ძნელი მისაღწევია, მაგრამ შეუძლებელი არაა.

ასეთ დროს ფეხბურთელსაც ძნელია, მოსთხოვო პასუხი. ის ვილაცის მითითებით მოქმედებს და მოთამაშენი ერთმანეთისგან არც უნდა გამოარჩიო.

ასეთ დროს ყველაზე ავტორიტეტული სიტყვა მწვრთნელისაა — მას უნდა ეყოს გამბედაობა. და თუ რომელიმეს (მწვრნელობას შევეშვათ) წესიერებაზე პრეტენზია აქვს, სიმართლე უნდა თქვას. ჯერჯერობით ორივენი, „გორდას“ გია გეგაუჩაძეც და „სიონის“ სპარტაკ არჩვაძეც ისევე დუმან, როგორც მათი პრეზიდენტები.

ყველამ, ცხადია, იცის, რომ მსგავსი აღიარებით საკუთარ თავს განაჩენს გამოუტანს. ასეთები კი არ ცდებიან, რადგან განაჩენი დიდი ხანია გამოტანილი აქვთ — საკუთარი თავის გადარჩენა ქართული ფეხბურთის (დალუპვის) ხარჯზე.

არსებობს კიდევ ერთი უშუალო მონაწილე, მოვლენებთან ყველაზე ახლოს მყოფი — მატჩის არბიტრი, რომლის აზრიც, შესაძლოა, მძლავრი დასაყრდენი და ხელჩასაჭიდი გამოდგეს.

კონკრეტულ სიტუაციაში არც ამ გზით სვლის იმედი უნდა გვქონდეს — მიზეზი ორია:

პირველი — მერაბ მალალურაძე უშიშარია, მაგრამ არა დამსმენი (მისი ყაიდის კაცი ასეთ საქციელს სხვა სახელს ვერ დაარქმევდა), ამიტომ თავისი უთქვამს და გაიმეორებს — მე ჩვეულებრივად ვიმსაჯე და ვერ გეტყვით, სტუმარ-მასპინძელს გულში რა ედოო;

და მეორე — არბიტრი სხვაგვარადაც რომ მოიქცეს, ფედერაციის შარშანწინდელი საქციელი არ გვაძლევს იმის საბაბს, რომ ეს საკმარისი აღმოჩნდება.

ხომ გახსოვთ, 1999 წლის „ლოკომოტივი“ — „დინამო“? ქარლელმა არბიტრმა გურამ ასკაროღლიმ, ამ მატჩზე, ჩაწყობილი იყოო, თქვა და რას გამორჩა — სამთვიან დისკვალიფიკაციას, ცუდად იმსაჯეო.

ჩაწყობაზე კი იმსჯელეს, იძიეს და ვერაფერი გამოიძიეს — მხოლოდ ასკაროღლის გზას გაუყენეს მისი მცემელი და ამისვე მოსურნე ორი ლოკომოტიველი.

ალბათ, ახლანდელი საქმე აქამდეც არ მივა. ბოლო ეს იქნება, ვიძიეთ, ვეცადეთ, მაგრამ სამხილმა არ იკმარაო.

და თუ ასე არ მოხდა, ფედერაციას კიდევ უფრო დიდ ნაკლად ჩაეთვლება, ვიდრე კონკრეტული მატჩის მონაწილეთა კეთილსინდისიერებაში ვერგარკვევა.

სხვაგვარად, გამოვა, რომ ჩვენს ფედერაციას ორნახევარი წელიწადი სჭირდება სწორი დასკვნის გამოსატანად. ხოლო თუ გავითვალისწინებთ, რომ ამდენივე მაინცაა საჭირო მეტის გასაკეთებლად კი არა, ამავე დროში დაშავებულის გასათეთრებლად (მომავალ ყრილობამდე კი ოდენ წელიწადნახევარია), ახლავე შეგვეძლება ვთქვათ:

ფედერაციის დღევანდელი შემადგენლობა ქართულ ფეხბურთს ვერაფრით შეეწია და ვალშია. უფრო მეტიც, ვერც შეეწევა და მუდამ ვალში იქნება.

ეს იმაზე უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე იმის მტკიცება, გარიგებული იყო თუ არა ერთი კონკრეტული მატჩი მაშინ, როცა მერამდენე წელია, სულ მცირე, სამ თვეში ერთხელ პრესა ასეთსავე ვარუდს გამოთქვამს.

ვწერთ, მაგრამ ქარავანი მიდის.

მეორე წელია, ჩვენი ფეხბურთის მმართველი ორგანო ჩემპიონატს ახლებურად ატარებს — შარშან 16-გუნდიანი ორეტაპა გამართა და აქტივში ჩაითვალა, დავძაბეთ, დონე ავამაღლეთო.

წლეულს 12-მდე შემცირდა უმაღლესი ლიგა და დაძაბვა თქვენ ახლა ნახეთო, უხაროდათ. რა ვნახეთ?! — მეორე ეტაპის პირველივე ტურში გაჩენილი ეჭვი გარიგებული მატჩის თაობაზე.

ისეთი სისტემა, გარიგებული მატჩები რომ გამორიცხოს, ასი წელია, ფეხბურთს თამაშობენ, ჯერ არ მოუგონიათ.

ვისაც საამისო პრეტენზია ჰქონდა, თავიდანვე ცრუობდა და დემაგოგობდა.

ცხადია, მეტ-ნაკლებობა ყველგან, ყველა საქმეშია, მაგრამ ჩვენმა ფედერაციამ ამ ნოვაციებით ეროვნულ ფეხბურთში უფრო ნოყიერი ნიადაგი შეუქმნა კორუფციას, ვიდრე წესიერ თამაშს.

ჩვენს ფეხბურთში წესიერად მოსაქმე წაგებისთვისაა განწირული, რადგან სუფთა ხელებით ძალიან ძნელია მომძლავრებული უწესობის მორევა.

დაიძაბაო — პირველივე ტურში რომ თამაშს ჩააწყობენ, ესაა დაძაბვა?

დონე ამაღლდაო — პირველივე ევროეტაპიდან რომ პანტაპუნტით ისვრიან ჩვენს კლუბებს, ესაა დონის ამაღლება.

ჩემპიონატი ერთია და ნაკრებიც ვიკითხოთ. პირველ სამ მატჩში რომ ეროვნულ გუ[illegible] აქვს [illegible] გაზრდილს [illegible], განა ესაა პროგრესი?

ვის სჭირდება 3 ჩემპიონატი ერთ ჩემპიონატში? ვის სჭირდება ისეთი პირველობა, რომლის კალენდარი სამი დღით ადრე დგება, რის გამოც გუნდები (მათ შორის ყველა ნაკრები) მომავალს არასწორად გეგმავენ?

ვის სჭირდება თასის წილისყრის თვეობით დაყოვნება, როცა წესისამებრ, ყველგან, სადაც წესი წესია, წინა ეტაპის შეხვედრათა მეორე დღეს იმართება?

ვის სჭირდება სათასო მეოთხედფინალების ზამთარშივე მოლევა, ევროსაგზურის მაძიებელთა თავიდანვე გამოკვეთა, და მერე ამ ადგილებით მანიპულირება?

ვის სჭირდება საქვეყნოდ მიღებული ნორმებისა და წეს-კანონების გადაგვარება და გაუკუღმართება?

ეს ყველაფერი მხოლოდ მას შეიძლება აძლევდეს ხელს, ვინც ამ ხელის მოთბობას სწორედ უკუღმართი მეთოდებით, ოქროს თევზის დაჭერას კი ამღვრეულ წყალში მეპაღურობით აპირებს.

ასეთი კი, თუ ფედერაციაში არავინაა, მაშინ მის უკან მაინცაა საძიებელი.

სჯობს, ფედერაციამ ამ კითხვებს უპასუხოს და საკუთარ შეცდომებზე დაფიქრდეს. ჩაწყობილი მატჩების აღმოჩენა და მათი წინასწარ გარიგებულობის მტკიცება კი ისეთივე კომკავშირული საქმიანობაა, როგორც უწესრიგოების დაფაზე გამოჭენება: აი, ვინ გვარცხვენს!

მიუხედავად იმისა, რომ ფედერაცია მაყურებელთა რაოდენობის დამრგვალებას ყოველთვის სათავისოდ ცდილობს, თვალნათელია, რა სისტემა არ მოიგონა, ჩემპიონატის მიმართ ინტერესი მაინც არ გაზრდილა.

შარშანდელ, საგაზაფხულო ეტაპზე ქვედა, ანუ „ბ“ ჯგუფის 56 მატჩს — 33 160 ათასი ქომაგი დაესწრო.

მაყურებელმა ზურგი აქცია ფეხბურთს — ზედა ვის აინტერესებს, ქვედა ლიგის საცქერად რომ იაროს. მისი ჩატარება მხოლოდ გუნდებს და ფედერაციას სჭირდებათ.

აი, საუკეთესო მაჩვენებელი იმისა, თუ როგორ დაიძაბა, როგორ ამაღლდა.

იყო თუ არა, ჩაწყობილი... იყო — ეს ჯერ მხოლოდ ეჭვია. და თუ ფედერაცია პირველად დაეჭვდა, აგვწყობია საქმე.

და საერთოდ. რომც არ ჩააწყონ, იმას, რასაც ფეხბურთი ჰქვია, და რის სანახავადაც კაცი სტადიონზე უნდა დადიოდეს, სამწუხაროდ, მაინც ვერ ვნახავთ — გნებავთ, ჩვენს ჩემპიონატში სულ ოთხი ელიტარული გუნდი მონაწილეობდეს ცხრა ეტაპად და ცხრა წრედ.

**ვახტანგ ჭიქაძე**



სამშაბათი რუსთავში: „გორდა“ — „სიონი“ 3:2.
თამაში უბურთოდ და უფეხბურთოდ: რაც არ არის, ვერც შეწვდები!



„სიონის“ მეკარე თეიმურაზ ვოლკოვი (№1), რომელმაც სამშაბათს ყველაზე მეტი ინერვიულა, შესვენებისას გამოცვლილ კახა სიდამონიძეს ამშვიდებს

საქართველოს ჩემპიონატი — უმაღლესი ლიგა — მეორე ეტაპი — 1 ტური

# I–VI ადგილები

# ვინც მოითმენს, ის მოიგებს



დინამოელი ზაზა ზირაქიშვილი გივი დიდავამ (მარცხნივ) და ირაკლი ვაშაკიძემ შუაში მოიმწყვდიეს

**დასკვნითი** ეტაპის პირველმა ტურმა ჩემპიონისა და თასის მფლობელის საჩემპიონო დავაში ვერაფერი შეცვალა. ოთხქულიანი უპირატესობა „ლოკომოტივს“ ხელუხლებლად დარჩა, არადა, შეიძლებოდა მდევარი ძალიან მოახლოებულიყო, თუმც არც ის იყო გამორიცხული, სხვაობა რკინიგზელებსა და რიონისპირელებს შორის მნიშვნელოვნად გაზრდილიყო.

გუშინწინდელი მატჩების მიმოხილვას ჩემპიონის ნაჯაფარით დავიწყებთ. სტუმრად „ტორპედოს“ 17 ნოემბრის მერე არ მოუგია. ბოლოს გამარჯვება ბათუმში მოახერხეს ქუთაისელებმა. გუშინაც წაიფორხილა ყიფიანისა და ძოძუაშვილის გუნდმა. ამჯერად „დინამოსთან“. „ტორპედოს“ აკლდა აშვეთია, თადარიგში იყო იმედაძე, ისევ დაშავდა ტრავმამოშუშებული ასათიანი, გუნდს დაუბრუნდა (ან წასვლა რაღა იყო, ანაც მობრუნება) მთავარი მეგოლე იონანიძე, რომელიც ჩვეულ ფორმაში არ უნდა იყოს. დარღვეულია კავშირი სათამაშო რგოლებს შორის და ეს დაღს ასვამს რიონისპირელთა ქმედებებს. მოკლედ, „ტორპედო“ თავიდან ყალიბდება, ამას კი დრო მიაქვს, თუმც ისიც სათქმელია, რომ ჩემპიონისთვის დრო არ ითმენს.

თავიდან ყალიბდება „დინამოც“ და ყოფილი ჩემპიონის თამაშში ხარვეზიც უამრავი შეინიშნება, მაგრამ არის ერთი რამ, რაც ახალგაზრდა დინამოელთა გარჯას თავისებურ ხიბლს მატებს. ეს გუნდის თავდადება და შემართება გახლავთ. მართალია, მხოლოდ ამით თამაშს ვერ მოიგებ, მაგრამ „დინამოს“ ურემი ჯერჯერობით მიგორავს და არც გადაბრუნების საშიშროება ემუქრება. დღეს ასეა, ხვალისა კი ხვალემ იკითხოს.

ებრძოდა ყოფილი ჩემპიონი ჩემპიონს. გარკვეულ უპირატესობას ფლობდა „ტორპედო“, განსაკუთრებით მატჩის ბოლოს, მაგრამ გასატანი ქარს გაატანეს ქუთაისელებმა და ქულა დაუტოვეს დედაქალაქელებს.

| ლოკომოტივი 0:0 მერანი | | |
|---|---|---|
| 13 | დაჯარიმდა | 14 |
| 6 | კუთხური | 1 |
| 5 | კარისკენ დარტყმა | 0 |
| 2 | კარში დარტყმა | 2 |
| 3 | თამაშგარე | 1 |

| დინამო 1:1 ტორპედო | | |
|---|---|---|
| 10 | დაჯარიმდა | 8 |
| 6 | კუთხური | 2 |
| 8 | კარისკენ დარტყმა | 4 |
| 2 | კარში დარტყმა | 1 |
| 2 | თამაშგარე | 7 |

## კოლხეთი 2:1 ვიტ ჯორჯია

წაგებისთვის ორივე გუნდი ცოდო იქნებოდაო, აღნიშნა ძოძუაშვილმა პრესკონფერენციაზე. თამაშით ნასიამოვნები დავრჩიო, თქვა ტყებუჩავამ. ჰოდა, გაუმარჯოს მშვიდობას. ძოძუაშვილმა გუშინწინ გამშველებლის მისიაც იტვირთა. ეს მაშინ, როცა ყიფიანსა და მსაჯ შილაკაძეს შორის ჩადგა. „ტორპედოს“ ერთ-ერთი თავკაცი მსაჯის გადაწყვეტილებამ გააცხარა, თავი ვერ შეიკავა და... შილაკაძემ გასახდელისკენ მიუთითა მწვრთნელს.

„ლოკომოტივი“ იმ „მერანმა“ გაამწარა, რომლის დამარცხებასაც რამდენიმე დღის წინ ზეიმობდა. სტუმრები ორჯერ მეკარემ იხსნა, მერე თავადაც გამოიღეს ხელი ავჭალელებმა და ხარიხაც შეუზანზარეს ჩემპიონობაზე მეოცნებე მასპინძლებს. არ გატყდა გაბელიას გუნდი, არაფერი დაუთმო მეტოქეს. ისე, „ლოკომოტივს“ ერჩივნოს, ავჭალელებთან დარჩენილი სამი მატჩი (ორი სათასო და ერთიც ჩემპიონატისა) „სინათლეზე“ ჩაატაროს, თორემ ნორმალურ მოედანზე „მერანი“ ძალიან ძნელი წასაქცევია. ფრიდან წაგებამდე კი ნაბიჯია...

კიდევ კარგი, თემურ მახარაძის ბიჭებისა და ფოთელი ქომაგების კონფლიქტი მშვიდობიანად დასრულდა. ვერ მოითმინა გინება ვიტელმა საჯაიამ, წაეკიდა მაყურებელს. ცეცხლზე ნავთი ბოლო წამებზე გაფრენილმა ქულამაც დაასხა და აირია მონასტერი. რაც ხელში მოხვდათ, ყველაფერი გაიმეტეს ვეტერინარებმა „კოლხეთის“ ქომაგებისთვის.

ფეხბურთელს მეტი მოთმინება და წინდახედულობა მართებს, მაყურებელს მეტი ზრდილობა, თორემ ერთხელაც უბედურება დატრიალდება.

„ვიტ ჯორჯია“ ახლოს იყო ქულასთან. ბოლომდე იბრძოდა, არაფერს უთმობდა მასპინძელს, მაგრამ... არ გატყდა „კოლხეთი“, თამაშის მიწურულს გაშვებულ გოლს გოლითვე უპასუხა და „ვიტ ჯორჯიაც“ ერთი საფეხურით ჩამოაქვეითა.

სულ ეს იყო პირველი ტური. ხვალ და ზეგ კი მეორე ტურის მატჩებია.

**ბამბუკა ძგანტალიანი**

| I–VI ადგილები | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 29 |
| დინამო | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 25 |
| ტორპედო | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 25 |
| კოლხეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 19 |
| ვიტ ჯორჯია | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 19 |
| მერანი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 17 |

## სიმბოლური ნაკრები

კახა ახალაძე — თსუ
ოლდარ მესხელია — კოლხეთი
დავით კვირკველია — კოლხეთი
ჟონი შალამბერიძე — კოლხეთი
მახტანგ იაგორაშვილი — დინამო
ლადო ბურდული — დინამო
ოლეგ მელიქსიანი — ბათუმი
მიხეილ მიხელაძე — ტორპედო
გიორგი შაშიაშვილი — დინამო
სოსო დოიძე — მერანი
რევაზ ნაჭყებია — მერანი

გუნდი: კოლხეთი
მწვრთნელი: სოსო ფილია

# VII–XII ადგილები

# ძველი გზა თუ ახალი აღმართი?

| თსუ 2:0 იბერია | | |
|---|---|---|
| 10 | დაჯარიმდა | 11 |
| 8 | კუთხური | 5 |
| 1 | კარისკენ დარტყმა | 3 |
| 6 | კარში დარტყმა | 2 |
| 4 | თამაშგარე | 9 |

| დილა 0:0 ბათუმი | | |
|---|---|---|
| 21 | დაჯარიმდა | 15 |
| 8 | კუთხური | 2 |
| 6 | კარისკენ დარტყმა | 2 |
| 3 | კარში დარტყმა | 2 |
| 1 | თამაშგარე | 10 |

| VII–XII ადგილები | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბათუმი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 15 |
| თსუ | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 13 |
| სიონი | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | 13 |
| გორდა | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 12 |
| დილა | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 10 |
| იბერია | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 2 |

**ყველამ** ყველაფერი იცოდა, მაგრამ სიავე დაუსჯელი რჩებოდა. დრო გადიოდა... ქართული ფეხბურთიც ტაკიმასხარას დაემსგავსა. ასე გრძელდებოდა 3 აპრილამდე. ვიღაცას, ვიღაცეებს ყელში ამოუვიდათ ყველაფერი. მატჩის ინსპექტორი აღშფოთდა, ჟურნალისტს პრესლოჟაში მუშაობის სურვილი გაუქრა, ქომაგებმა, ფეხბურთის ვეტერანებმა პროტესტის ნიშნად დემონსტრაციულად დატოვეს ტრიბუნები.

„გორდა“ — „სიონი“ „თამაში“ ყოფილა... დიახ „თამაში“ და არა ფეხბურთი.

გორში მსაჯებს აფურთხეს... პენალტი აშკარა იყოო, ამტკიცებენ „დილა“ — „ბათუმის“ თვითმხილველები. ილაპარაკეთ, თუ გნებავთ იყვირეთ, არც მსაჯს და არც თანამსაჯს წესების დარღვევა არ შეუნიშნავთ, რატომ? აი, ეს არის საკითხავი.

ისევ წააგო „იბერიამ“ და არც ეს გახლავთ სიახლე.

ახალგაზრდული თსუ კი არ ხუმრობს, „ბათუმს“ ჩასდგომიან სტუდენტები კვალში, თუმც წინ კიდევ ცხრა ტურია.

ზემოთ მოგახსენეთ, „გორდა“ — „სიონის“ „თამაშის“ შედეგი ფედერაციამ არ დაამტკიცაო. დღეს, 12 საათზე, ფეხბურთის ფედერაციაში საგანგებო კომიტეტი თავის ვერდიქტს გამოიტანს. როგორი იქნება განაჩენი? ამაზეა დამოკიდებული ეროვნული ჩემპიონატის მომავალიც. ივლის თუ არა ქართული ფეხბურთი ძველი, არაფრისმომცემი გზით, თუ ახალ აღმართს შეუყვება?!

**ბამბუკა ძგანტალიანი**

საქართველოს ჩემპიონატი — პირველი ლიგა — მეორე ეტაპი — 1 ტური

## I–VI ადგილები

ცნორი
4 აპრილი
15 საათი
ძველი ანაგა
500 (ტევადობა 3 000)

### მილანი 3:0 ცხინვალი

1:0 გამცემლიძე (20), 2:0, 3:0 მეძღოევი (26, 60)
მილანი: გ. სომხიშვილი, ტარულაშვილი, ლუდუშაური, კობაიძე, მეტონიძე, გოლეთიანი (ვარამაშვილი 69), გამცემლიძე, ქყონია, ბარამიძე, მეძღოევი (მ. სომხიშვილი 70), ტოკლიკიშვილი (ძამუნაშვილი 62)
სათადარიგონი: გოძიაშვილი; ლეკიშვილი, გ. ჩიტაური, სოხელია
ცხინვალი: ქესანაშვილი, ხოხობაშვილი, ელისაშვილი, ტყემალაძე, ვაჩლავაშვილი, მოსიაშვილი, თალაკვაძე (არუთინიანი 46), მარგიევი, გლუნჩაძე (ჩაჩიბაია 68), ნასუაშვილი (ბოქორაძე 40), ციცქიშვილი
სათადარიგონი: რაზმაძე, ზ. მაისურაძე, წიქარიძე
მსაჯები: პ. დოგრაშვილი (ქუთაისი); ა. ნონიკაშვილი, ო. ხეცაძე, ა. კრიჭაშვილი (სამივე თბილისი)

| I–VI ადგილები | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 24 |
| გურია | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 24 |
| შუქურა | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 21 |
| სამგურალი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 21 |
| მეტალურგი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 21 |
| ცხინვალი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 20 |

| ბომბარდირები | | |
|---|---|---|
| 17 | ქუთათელაძე | სამგურალი |
| 13 | გვირჯიშვილი | ცხინვალი |
| 12 | კალანდაძე | შუქურა |
| 11 | ბოჭორაძე | ცხინვალი |
| | გ. გვაჩაგა | მეტალურგი |
| 9 | ტოკლიკიშვილი | მილანი |

## VII–XII ადგილები

ზუგდიდი
4 აპრილი
16 საათი
ცენტრალური
300 (ტევადობა 7 500)

### ზუგდიდი 0:1 თბილისი

0:1 ცქოფურიშვილი (12)
ჯურხაძემ ვერ გაიტანა პენალტი (44)
ზუგდიდი: კვარაცხელია, ვახანია, გაბელაია (ზ. საჯაია 57), გედენიძე, ციკოლია, გამსახურდია, გ. ჭურღულია (სიჭინავა 19), ი. ჭურღულია, ბურულავა, ან. ჯიქია, ჯურხაძე
თბილისი: კუპატაძე, ჩალაძე, ლ. კაპანაძე (ნიკურაძე 40), სტურუა, აბრამიშვილი, კოხრეიძე, ცქოფურიშვილი, მანაგაძე, ტყებუჩავა, გუშარაშვილი, სახურია
სათადარიგონი: კოდალაევი; გოგმაჩაძე
გაფრთხილება: სიჭინავა (55), ნიკურაძე (60), ციკოლია (75)
მსაჯები: ზ. ანიაშვილი (გორი); გ. ელიზბარაშვილი (თბილისი), გ. ჩიგოგიძე; ლ. მიქელაძე (ორივე სამტრედია)

სამტრედია
4 აპრილი
16 საათი
ეროსი მანჯგალაძე
400 (ტევადობა 15 00

### ოკეანე 1:1 ივერია

0:1 ტილკავაშვილი (45), 1:1 თ. ნეკვრაშვილი (64ა.კ)
ოკეანე: ჩომახიძე, თოდაძე, მაღლაკელიძე, ს. გოგია, ცომაია, ხურციძე, ხელაძე (ბაკურაძე 52), ლომინაშვილი, ო. ფხაკაძე, ზ. ჯიქიძე, ჩიგოგიძე
სათადარიგონი: თაყაძე; ჯულაყიძე, ტყეშელაშვილი
ივერია: ხარშილაძე, ვაჩლავაშვილი, გ. ლომიძე, ნეკვრაშვილი, გოგალაძე, მელაძე (ვეშაპიძე 46), ჯობაძე, მინაძე, ტილკავაშვილი, ჯაფარაშვილი (ვლასოვი 85), ინასარიძე (მ. ლომიძე 46)
სათადარიგონი: ხვედელიძე, ხაჩიძე, ულუმბელაშვილი
გაფრთხილება: ლომინაშვილი (89), გ. ლომიძე (90)
მსაჯები: ა. მუშკუდი; ზ. მენთეშაშვილი, კ. თბილელი (სამივე თბილისი); დ. ხანაია (სოხუმი)

მარტვილი
4 აპრილი
16 საათი
ჯიმალ ზეინკლიშვილი
500 (ტევადობა 3 000)

### თორი 1:0 ხობი

1:0 ზარანდია (23)
თორი: სულავა, სადილიანი, ქობონელიძე, კობეხაშვილი, წიქარიშვილი (მალიკაშვილი 18), ზაქარეიშვილი, სუხიაშვილი, ზარანდია, ტარიელაშვილი, სეფერთელაძე, ჯანაშია
სათადარიგონი: ა. ლაბაძე, ნამგალაძე, ბაქრაძე
ხობი: შ. გოგია, ჯამბურია, დანელია, ლ. ჯაბუა, ი. ჯაბუა, ხურცილავა, ლიპარტია (ტყებუჩავა 65), ფიფია, ზაზა აიანადი, ქიქინაძე, როგავა
სათადარიგონი: რ. თოლორდავა; ხორავა, არ. ჯიქია
გაფრთხილება: როგავა (15), სადილიანი (38), ლ. ჯაბუა (75), ზაქარეიშვილი (85)
მსაჯები: ა. ორდინიძე (ონი); ჯ. ბუიშვილი (ქობულეთი), ი. ბეცინაური (დუშეთი); ზ. ჯვარიძე (თბილისი)

| VII–XII ადგილები | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თორი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 18 |
| ხობი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 13 |
| თბილისი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 12 |
| ზუგდიდი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 12 |
| ოკეანე | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 11 |
| ივერია | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 9 |

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

# საეჭვო სასწაულის მოლოდინი

UEFA CHAMPIONS LEAGUE

## ჩემპიონთა ლიგა. მეოთხედფინალი. პირველი მატჩი




პირველი გოლის სიხარული: ოლივიე დაკური და იან ჰარტი

**ლიდს იუნაიტედი 3:0 დეპორტივო**
**ლიდსი, «ელანდ როუდი»**
35 508 მაყურებელი

1:0 ჰარტი (26), 2:0 სმიტი (51), 3:0 ფერდინანდი ([illegible])

მარტინი, მილსი, ფერდინანდი, ჰარტი, მატეო, დაკური, ბოიერი, ბეტი, კიუელი (უილკოქსი 84), ვიდუკა, სმიტი
მწვრთნელი: დევიდ ოლირი

მოლინა, მანუელ პაბლო, რომერო, ნაიბეტი, სესარი, ფრანი [illegible]
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა

გაფრთხილება: ემერსონი, მატეო, ბეტი, დაკური; მსაჯი: ჟილ ვესიე (საფრანგეთი)

| | | |
|---|---|---|
| 5 | კარისკენ დარტყმა | 5 |
| 9 | კარში დარტყმა | 7 |
| 18 | ჯარიმა | 12 |
| 8 | კუთხური | 7 |
| 3 | თამაშგარე | 2 |

**ლიდსელი** მეკარე ნაიჯელ მარტინი იდგა და ამთქნარებდა. საქმე არაფერი ჰქონდა და უხერხული რომ არ ყოფილიყო, ალბათ, მინდორზეც წამოწვებოდა და ისე დაელოდებოდა თამაშის დასრულებას. ჯალმინია და როი მაკაი მოედანზე კი იყვნენ, მაგრამ მაინც არ ჩანდნენ და მარტინს, აბა, რისი შიში უნდა ჰქონოდა.

მატჩის დასრულებამდე ოცი წუთით ადრე ხავიერ ირურეტამ მოედანზე ვალტერ პანდიანი და დიეგო ტრისტანი შეიყვანა. ის ხალხი, რომლებსაც აქამდე ორ-ორი გოლი გაჰქონდათ, მაგრამ ნაიჯელ მარტინს ამით საქმე დიდად არ მომატებია.

მეკარისგან განსხვავებით, იან ჰარტს მოსაწყენად არ ეცალა. ამ მცველს მაგნიტივით იზიდავდა მეტოქის კარი და არცთუ უსაფუძვლოდ. ჰარტის პირველი გოლი — დიდებულად შესრულებული საჯარიმო დარტყმა, რომლის მსგავსიც რობერტო კარლოსს და სინიშა მიხაილოვიჩსაც ვერ გააქვთ ხშირად. ალან სმიტის მეორე გოლი — ჰარტის ჩაწოდებით გატანილი და ჰარტისავე ჩაწოდებას მოყოლილი რიო ფერდინანდის მესამეც. ბოლო შემთხვევაში ლაკორუნიელებმა უხეში შეცდომა დაუშვეს, ხოსე ფრანსისკო მოლინას ბურთის აღება იოლად შეეძლო, მაგრამ ხუან კარლოს ვალერონი აჩქარდა, თავისსავე მეკარეს ბურთი აართვა, უხერხულად მოიგერია და ფერდინანდს ჩააბარა. ეს მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული მცველის პირველი ლიდსური გოლი იყო.

წინ მეორე ტაიმია, ლა კორუნიაში. პირველს „ლიდსი“ 3:0 იგებს და ყველას ერთი თვის წინანდელი „დეპორტივო“ — „პარი სენ ჟერმენი“ ახსენდება, როცა გალისიელებმა 0:3 4:3-ად აქციეს.

ოთხაშაბათის მატჩის შემდეგ ორივე მწვრთნელი სწორედ იმ 4:3-ზე ლაპარაკობდა.

დევიდ ოლირი: „ჯერ მხოლოდ პირველი ტაიმი დამთავრდა. მეორე სულ სხვანაირი იქნება, რის გამოც ნახევარფინალში ჩვენს გასვლაზე ლაპარაკი ნაადრევია. ახლა მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ევროთასებზე საუკეთესო მატჩი ჩავატარეთ, თუმცა ეიფორიას ვერ მივეცემით. თუკი თავს უკვე დავიგულებთ ნახევარფინალში, დავილუპებით. ნუ დაგვავიწყდება, რომ ფეხბურთში ყველაფერი ხდება და „დეპორტივოს“ პსჟ-სთან მატჩიც კარგად გვახსოვს. ვიცი, რომ ჩემი ამგვარი სიფრთხილე ბევრს არ მოეწონება და ეგებ სიმხდალეშიც ჩამითვალონ, მაგრამ გარწმუნებთ, ასე არაა. უბრალოდ, მოვლენებს სალი თვალით ვუყურებ“.

ხავიერ ირურეტა გამოუსწორებელი ოპტიმისტი ყოფილა და ეს ოპტიმიზმი ვინმემ სისულელედ რომ არ ჩაუთვალოს, ორი არგუმენტი მოჰყავს: ერთი, რომ „სუპერდეპორი“ ამ სეზონში შინ მხოლოდ ერთხელ დამარცხდა (ლიგაში „მილანთან“) და მეორეც — ცხადია, პარიზელთა საოცარი ძლევა. „ვაღიარებ, რომ ურთულესი ამოცანა გვაქვს გადასაჭრელი — თქვა ირურეტამ — მაგრამ მშობლიურ „რიასორზე“ ყოველთვის ფრთაშესხმულნი გავდივართ. ლიგაში ერთხელ უკვე მოვახდინეთ სასწაული და იგივე მეორედ რატომ ვერ უნდა შევძლოთ? „ლიდსი“ „პარი სენ ჟერმენზე“ ძლიერია, ესე იგი, მეტი ძალით მოგვიწევს თამაში, ჩვენ ეს შეგვიძლია. რაც შეეხება დღევანდელ თამაშს, ფეხბურთელებს ნაკლებად ვადანაშაულებ. ბოლო ოცი წუთი ძალიან კარგად ვითამაშეთ და რამდენიმე სახიფათო მომენტიც შევქმენით. სამწუხაროა, რომ თუნდაც ერთი გოლი ვერ გავიტანეთ, „ლიდსი“ ძალიან კარგად იცავდა თავს“.

ჩვენ კი დავუმატოთ, რომ სასწაული ყოველდღიურად არ ხდება და თუ მოხდა, სასწაული აღარ არის.

**გიორგი დარჯანია**

# ხელები შორს აიალასგან!

UEFA CHAMPIONS LEAGUE

## ჩემპიონთა ლიგა. მეოთხედფინალი. პირველი მატჩი

**არსენალი 2:1 ვალენსია**
**ლონდონი, «ჰაიბერი»**
35 104 მაყურებელი

0:1 აიალა (41), 1:1 ანრი (58), 2:1 პარლოუ (60)

სიმენი, დიქსონი, კიოუნი, ადამსი, ეშლი კოული, ლიუნგბერგი (ვილტორდი 46), ვიეირა, პარლოუ, პირესი, ანრი, კანუ (ლორენი 84)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი

კანისარესი, ანგლომა, აიალა, პელეგრინო, კარბონი, ბარახა, მენდიეტა (ვისენტე 89), კილი გონსალესი, აიმარი (ანგულო 68), კარევი, ხუან სანჩესი
მწვრთნელი: ჰექტორ რაულ კუპერი

გაფრთხილება: ბარახა, აიალა, პირესი, კილი გონსალესი; მსაჯი: დიკ იოლი (ჰოლანდია)

| | | |
|---|---|---|
| 8 | კარისკენ დარტყმა | 5 |
| 9 | კარში დარტყმა | 6 |
| 23 | ჯარიმა | 23 |
| 6 | კუთხური | 2 |
| 3 | თამაშგარე | 5 |

**ორ წუთში** გატანილმა ორმა გოლმა ლონდონის „არსენალს“ „ვალენსიასთან“ გაამარჯვებინა და ნახევარფინალში გასვლის იმედი სულ ცოტა, ორი კვირით გაუხანგრძლივა.

„საწყენია, მესამე რომ ვერ შევაგდეთ, რამდენიმე კარგი მომენტიც გავფლანგეთ. მაგრამ, მთავარია, გავიმარჯვეთ.

ახლა სტუმრად მოსაგებად უნდა განვეწყოთ. კარგად ვიცით, როგორ თამაშობს „ვალენსია“ შინ და ვგრძნობთ, ურთულესი ბრძოლა გველის. ვფიქრობ, ეს გამარჯვება ჩემს ფეხბურთელებს თვითრწმენას შემატებს“ — თქვა მატჩის მერე პრესკონფერენციაზე მეთოფეთა მწვრთნელმა არსენ ვენგერმა. ბოლოს კი მაინც დააყოლა — შედეგით უკმაყოფილო ვარო.

„ჰაიბერის“ ზურმუხტივით მინდორზე ერთმანეთს შარშანდელი ევროთასების ფინალისტები ხვდებოდნენ. მაშინ ლიგის გადამწყვეტ მატჩში „ვალენსიამ“ „რეალთან“ წააგო, ხოლო უეფას თასის ფინალში — „არსენალმა“ „გალათასარაისთან“.

ოთხაშაბათს მასპინძელთაგან ტიერი ანრი და რეი პარლოუ გამოირჩნენ, ხოლო ფაბიან აიალას გოლმა სტუმრებს საპასუხო მატჩისთვის არცთუ ცუდი შანსი დაუტოვა.

იმ ღამეს „არსენალი“ რამდენჯერმე აფეთქდა. პირესი, ლიუნგბერგი და ანრი მეტოქე მცველებს მოსვენებას არ აძლევდნენ.

დიდი ჯაფა დაადგა მარცხენა ფრთის მიმხედავ 35 წლის ჟოსელინ ანგლომას. ჯერ იყო და პირესის კუთხურიდან შორეულ ძელთან ჩაწოდებულ ბურთს, კართან ერთ მეტრში ამხტარმა ვიეირამ დაჰკრა თავი, მაგრამ ხარიხას მოარტყა, მერე კანუმ ოდნავ ააცილა, ანრიმ კი შორიდან ორჯერ გამოსცადა სტუმართა მეკარე კანისარესი.

ესპანელები დაცვაში იდგნენ და დროგამოშვებით სახიფათოდ იჩხვლიტებოდნენ. ტაიმის ბოლოსკენ გათამამდნენ და უპირატესობაც მოიპოვეს.

იონ კარეუმ, როგორც ყოველთვის, ნაღდი შანსი გააცუდა — ნორვეგიელი მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ სიმენმა დიდებულად ითამაშა და ფეხით მოიგერია, დამატებისას კი კარეუმ ბურთი ძელს გაარტყა.

ანგარიში რომ გაიხსნა შესვენებამდე ოთხი წუთიღა რჩებოდა: მენდიეტამ მარჯვნიდან ჩაჰკიდა, მეთოფე მცველებმა ბურთი საჯარიმოდან ვერ გამოიტანეს და იქვე მყოფმა აიალამ ძლიერი დარტყმით მარჯვენა მაღალ კუთხეში გაიტანა.

მეორე ტაიმში ვენგერმა შეტევა გააძლიერა: ლიუნგბერგის ნაცვლად მესამე თავდამსხმელი, სილვენ ვილტორდი გაიყვანა მინდორზე: „რა უნდა მექნა? „ვალენსია“ დაცვაში კარგად თამაშობდა, ჩვენ კი ვაგებდით. აუცილებელი იყო დაწოლის გაძლიერება“ — ახსნა მერე ვენგერმა.

ვილტორდს თავად არ გაუტანია, მაგრამ შეტევას სიმწვავე ნამდვილად შემატა.

და აი, დადგა ის საკვირველი ორწუთეულიც, როცა მეთოფეებმა გემრიელად დააქუხეს.

58-ე: ვილტორდი მარცხნიდან შეიჭრა მეტოქის საჯარიმოში და იქ პირესი მოძებნა, ამან ქუსლით ანრის გადასცა და ბურთი კანისარესის კარის ბადეში გაეხვა.

ესპანელებმა შეკამათება სცადეს, თამაშგარე იყოო, მაგრამ ვიდეოფირზე ნათლად გამოჩნდა, „არსენალის“ ფრანგული ტრიოს კომბინაციისას, „ვალენსიას“ ფრანგი ანგლომა საკუთარ კართან ჩარჩენილიყო...

მე-60: წარმატებით გაგულისებულმა ლონდონელებმა კვლავაც შეუტიეს. რეი პარლოუმ ცენტრში ვალენსიური კედელი გაარღვია, ბურთს ჯიქურ მიჰყვა და 25 მეტრიდან უძლიერესი დარტყმით მარჯვენა ცხრიანში გაჭედა...

„შესვენების შემდეგ გუნდი გარდაიქმნა. ბიჭებს, თითქოს მეორე სუნთქვა გაეხსნათო. მტკიცე ხასიათიც გამოავლინეს“ — ესეც ვენგერის ნათქვამია.

მწვრთნელმა განსაკუთრებით ვიეირა გამოარჩია: „კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ ნამდვილი ლიდერია. ყველას აგრძნობინა, რომ წაგებას ვერ შეეგუებოდა. მერე მისი განწყობა პარტნიორებსაც გადაედოთ და გუნდს მებრძოლი სული დაუბრუნდა“.

ჩვენ კი ერთხელაც დავსძენთ, სად დაკარგა ამ ხალხმა „პირველი გოლის ფაქტორის“ კომპლექსი? საოცარია, პირდაპირ...

„ცხადია, წაგება ადამიანს ყოველთვის უსიამოვნო განცდას უტოვებს, მაგრამ დაკარგული არაფერია. მჯერა, შემდგომ ეტაპზე „ვალენსია“ გავა — თქვა ესპანელთა არგენტინელმა თავკაცმა ჰექტორ კუპერმა — ორივე ტაიმის პირველი თხუთმეტი წუთი ჩავაგდეთ და ამისთვის დავისაჯეთ კიდეც. თუმცა პირველი ნახევრით მაინც კმაყოფილი გახლავართ“.




ტიერი ანრიმ სანტიაგო კანისარესს გაუტანა და გამოუტანა

აი, ვალენსიელთა შემტევი ხუან სანჩესი კი გაწბილებული ჩადა, მოგებული ტაიმის მერე წაგება ძნელი გადასატანიაო — უთხრა ჟურნალისტებს, ისიც დაამატა, დიდებული ფეხბურთელები გვყავს და ჯამში მაინც გავიმარჯვებთო: „გამოგიტყდებით, „არსენალის“ თამაშმა მომხიბლა. ძალიან ძლიერები არიან, ამიტომ საბოლოო წარმატებისთვის ბევრი ოფლისღვრა დაგვჭირდება.“

იმედიანადაა ესპანელთა მეკარე სანტიაგო კანისარესიც: „მასპინძლები გააფთრებით გვიტევდნენ და მაინც მოგვიგეს. საპასუხო მატჩში კი ჩვენ წარმატების მეტი შანსი გვაქვს.

თავიდანვე უნდა მოვგუდოთ და მკაცრი პრესინგი ვეთამაშოთ. მჯერა, ნახევარფინალში ჩვენ გავალთ.“

ახლა ერთი სადავო ეპიზოდის შესახებ. დღევანდელი მდგომარეობით, ფაბიან აიალამ საპასუხო მატჩი უნდა გამოტოვოს, რადგან მეორე გაფრთხილება მიიღო. არადა, აიალა არაფერ შუაშია, იმ მომენტში კანუს წინააღმდეგ თამაშის წესი ანგლომამ დაარღვია.

გუშინ „ვალენსიას“ იურისტმა ალბერტო ალიაგამ ჟურნალისტებს უთხრა, რომ კლუბმა უეფაში აპელაცია შეიტანა: რაკი მსაჯის შეცდომა იყო, ვიმედოვნებთ, დისკვალიფიკაციას გააუქმებენ და გაფრთხილებას ანგლომას მიაწერენო. არგუმენტის გასამყარებლად ვალენსიელები უეფაში მატჩის ვიდეოჩანაწერსაც გაგზავნიან.

**სოლომონ ბულისკერია**



ლი ჰენდრის ეს დარტყმა ლამაზიც იყო და გამარჯვებისაც

# ვილამ მოგება მოახერხა

## ინგლისი

### გადადებული მატჩი

**ასტონ ვილა 2:1 ლესტერი**

0:1 დავიდსონი (27), 1:1 დაბლინი (29), 2:1 ლ. ჰენდრი (72)
ასტონ ვილა: ჯეიმსი, დილანი, ა. რაიტი, საუთგეიტი, ალფაი, ბოატენგი (ჯლოუჩიმი 70), ს. სტოუნი (ჟინოლა 59), ლ. ჰენდრი, ტეილორი, დაბლინი, მერსონი
მწვრთნელი: ჯონ გრეგორი
ლესტერი: როისი, ტაგარტი, მ. ელიოტი, მარშალი, დავიდსონი (გაპი 76), იზზი, ოუქსი, როუეტი, ლუისი, აკინბაი (ბენჯამინი 76), სტარიჯი (გუნლაუგსონი 34)
მწვრთნელი: პიტერ ტეილორი
გაფრთხილებები: სტოუნი, ალფაი, ლუისი, ტაგარტი
29 043 მაყურებელი

**ჩემპიონთა ლიგის** საღამოს ბირმინგემში, „ვილა პარკზე" პრემიერლიგის გამოტოვებული მატჩი გამართა. „ასტონ ვილამ" „ლესტერს" უმასპინძლა და 2:1 მოუგო.

ამ, ერთი შეხედვით ჩვეულებრივ თამაშში მასპინძლებმა ნავსი გატეხეს. „ლესტერს" ზედიზედ 13 წელიწადი არ წაეგო ბირმინგემში, „ვილას" კი ბოლო 14 შეხვედრაში ვერ მოეგო ამ გუნდისთვის.

ამიტომ, როცა სტუმართა კაპიტანმა დევიდსონმა ანგარიში გახსნა, კაცი იფიქრებდა, ისტორია გრძელდებაო. თუმცა, ეს თამაში ისედაც გამორჩევის შანსს აძლევდა „ასტონ ვილას" — თუ გუნდი მოიგებდა, პირველად წლევანდელ სეზონში, ცხრილის ზედა ნახევარში დაიჭერდა ადგილს.

„ვილამ" მეორე ტაიმში გარდატეხა თამაში: ბოლო ორ წელიწადს უილბლობით ტანჯულ დიონ დაბლინს ბოლო ხუთ დღეში ყისმათი დაუბრუნდა: გასულ შაბათს „სიტის" მეკარე ნიკი ვივერმა აჩუქა საგოლე ბურთი, ახლა კი მისი თავით დარტყმული კარის ხაზს იქეთ დაიჭირა ლესტერელთა მეკარე საიმონ რაისმა.

გამარჯვების ტალღაზე მომართულმა „ვილამ" კვლავ გაიტანა: გარეთ საუთგეიტმა და ლი ჰენდრიმ კარგი კომბინაცია გაითამაშეს და ამ უკანასკნელმა ერთი დარტყმით მოსპო რამდენიმე უსიამო ტრადიცია.

ცნობისთვის: „ლესტერმა" ზედიზედ მეცხრე გასვლითი თამაში წააგო.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 31 | 21 | 7 | 3 | 68:21 | 70 |
| არსენალი | 31 | 16 | 9 | 6 | 49:29 | 57 |
| იფსვიჩი | 31 | 16 | 4 | 11 | 47:36 | 52 |
| ლიდსი | 31 | 14 | 8 | 9 | 46:38 | 50 |
| ლივერპული | 29 | 14 | 7 | 8 | 50:31 | 49 |
| სანდერლენდი | 31 | 13 | 9 | 9 | 37:32 | 48 |
| ჩელსი | 30 | 12 | 9 | 9 | 54:38 | 45 |
| ჩარლტონი | 31 | 12 | 9 | 10 | 41:42 | 45 |
| ლესტერი | 31 | 13 | 6 | 12 | 32:35 | 45 |
| ასტონ ვილა | 31 | 11 | 11 | 9 | 36:32 | 44 |
| საუთჰემპტონი | 30 | 12 | 8 | 10 | 34:37 | 44 |
| ტოტენჰემი | 31 | 10 | 9 | 12 | 36:40 | 39 |
| ნიუკასლი | 30 | 11 | 6 | 13 | 36:43 | 39 |
| ვესტ ჰემი | 31 | 8 | 11 | 12 | 35:40 | 35 |
| ევერტონი | 31 | 9 | 8 | 14 | 33:44 | 35 |
| დერბი ქაუნთი | 31 | 8 | 11 | 12 | 31:47 | 35 |
| მიდლსბრო | 31 | 6 | 13 | 12 | 34:38 | 31 |
| სიტი | 31 | 6 | 9 | 16 | 34:52 | 27 |
| ქოვენთრი | 31 | 6 | 9 | 16 | 28:51 | 27 |
| ბრედფორდი | 30 | 3 | 9 | 18 | 22:57 | 18 |

## Copa Toyota Libertadores '2001

### ლიბერტადორესის თასი 2001

**I ჯგუფი. V ტური**

**როსარიო სენტრალი (არგენტინა) 1:0 ხუნიორ ბარანკილია (კოლუმბია)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| როსარიო სენტრალი | 5 | 3 | 1 | 1 | 11:4 | 10 |
| ხუნიორ ბარანკილია | 5 | 3 | 0 | 2 | 9:5 | 9 |
| ველეს სარსფილდი | 4 | 2 | 0 | 2 | 4:6 | 6 |
| უნივერსიტარიო | 4 | 0 | 1 | 3 | 2:11 | 1 |

**II ჯგუფი. IV ტური**

**სერო პორტენო (პარაგვაი) 0:0 პალმეირასი (ბრაზილია)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სერო პორტენო | 4 | 3 | 1 | 0 | 9:1 | 10 |
| პალმეირასი | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 7 |
| უნივერსიდად დე ჩილე | 3 | 1 | 0 | 2 | 3:4 | 3 |
| სპორტ ბოიზი | 4 | 0 | 0 | 4 | 2:13 | 0 |

**III ჯგუფი. IV ტური**

**სან ლორენსო (არგენტინა) 2:0 ხორხე უილსტერმენი (ბოლივია)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნასიონალი | 3 | 2 | 1 | 0 | 4:0 | 7 |
| სან ლორენსო | 4 | 2 | 0 | 2 | 6:6 | 6 |
| ხორხე უილსტერმენი | 4 | 2 | 0 | 2 | 6:8 | 6 |
| დეპორტეს კონსეპსიონი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:4 | 1 |

**IV ჯგუფი. III ტური**

**კრუზეირო (ბრაზილია) 2:0 ემელეკი (ეკვადორი)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კრუზეირო | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 6 |
| ოლიმპია | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ემელეკი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:3 | 4 |
| სპორტინგ კრისტალი | 3 | 0 | 0 | 3 | 0:3 | 0 |

**VIII ჯგუფი. V ტური**

**ორიენტე პეტროლერო (ბოლივია) 0:1 ბოკა ხუნიორსი (არგენტინა)**
**კობრელოა (ჩილე) 2:1 დეპორტივო კალი (კოლუმბია)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოკა ხუნიორსი | 5 | 5 | 0 | 0 | 7:2 | 15 |
| კობრელოა | 5 | 3 | 0 | 2 | 6:5 | 9 |
| დეპორტივო კალი | 4 | 1 | 0 | 3 | 6:7 | 3 |
| ორიენტე პეტროლერო | 4 | 0 | 0 | 4 | 3:8 | 0 |

## პირველი დივიზიონი

### გადადებული მატჩები

**ბლეკბერნი 1:1 შეფილდ იუნაიტედი**
1:0 ბერგი (5), 1:1 ნდლოვუ (73)

**ვულვერჰემპტონი 0:1 უიმბლდონი**
0:1 ერდლი (63)
ვულვერჰემპტონი: ოუქსი, კონელი, პოლეტი, ლესკოტი, ნეილორი, რობინსონი, ენდრიუსი, სინტონი, ბრენჩი (ძიგბაია 82), პრუდლოკი (რუსელი 68), ნდა
მწვრთნელი: დევიდ ჯოუნსი
16 767 მაყურებელი

**უოტფორდი 3:0 ნოტინგემი**
1:0 ნოელ-უილიამსი (21), 2:0, 3:0 მუნი (46, 72)

**კრისტალ პალასი 0:0 ჰადერსფილდი**

**ბოლტონი 1:1 სტოკპორტი**
1:0 ჰენდრი (11), 1:1 კუკი (67)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფულემი | 38 | 27 | 7 | 4 | 81:26 | 88 |
| ბლეკბერნი | 37 | 21 | 10 | 6 | 61:33 | 73 |
| ბოლტონი | 39 | 20 | 13 | 6 | 66:40 | 73 |
| ბირმინგემი | 39 | 21 | 6 | 12 | 53:41 | 69 |
| ვესტ ბრომვიჩი | 40 | 20 | 8 | 12 | 55:46 | 68 |
| პრესტონი | 38 | 19 | 7 | 12 | 51:43 | 64 |
| უოტფორდი | 39 | 18 | 7 | 14 | 64:55 | 61 |
| შეფილდ იუნ. | 39 | 17 | 9 | 13 | 45:40 | 60 |
| ნოტინგემი | 39 | 18 | 6 | 15 | 48:46 | 60 |
| უიმბლდონი | 37 | 14 | 13 | 10 | 59:40 | 55 |
| ბარნლი | 38 | 16 | 7 | 15 | 37:48 | 55 |
| ბარნსლი | 40 | 14 | 8 | 18 | 45:50 | 50 |
| ვულვზი | 38 | 13 | 10 | 15 | 40:39 | 49 |
| ნორვიჩი | 39 | 12 | 10 | 17 | 38:49 | 46 |
| ჯილინგემი | 39 | 10 | 15 | 14 | 49:54 | 45 |
| ქრიუ | 38 | 13 | 6 | 19 | 37:49 | 45 |
| პორტსმუთი | 39 | 9 | 16 | 14 | 39:48 | 43 |
| უენსდი | 39 | 12 | 6 | 21 | 43:65 | 42 |
| კრ. პალასი | 39 | 10 | 11 | 18 | 48:57 | 41 |
| სტოკპორტი | 40 | 8 | 17 | 15 | 50:62 | 41 |
| გრიმსბი | 39 | 10 | 10 | 19 | 35:54 | 40 |
| ჰადერსფილდი | 38 | 9 | 12 | 17 | 41:48 | 39 |
| ქუინზ პარკი | 39 | 6 | 16 | 17 | 37:63 | 34 |
| ტრანმერი | 38 | 8 | 8 | 22 | 39:65 | 32 |

## საფრანგეთი

**ფრანგთა** პირველი დივიზიონის ცხრილს თუ ჩავხედავთ, „მეცს" და „სტრასბურს" სხვებზე ერთი თამაშით ნაკლებს აღმოვუჩენთ.

გავიხსენოთ, რომ ამ გუნდების სტრასბურული მატჩი არბიტრმა არ ჩაამთავრა, რაკი მავანი ქომაგისგან ნასროლი მაშხალა მოხვდა.

საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციაში თავდაპირველად ითქვა, რომ „სტრასბურს", როგორც მასპინძელს, წაგება უნდა ჩათვლოდა და დამატებით სამი ქულაც ჩამოკლებოდა, თუმც სტრასბურელებმა ფედერაციის გადაწყვეტილება გააპროტესტეს და სასჯელის აღსრულებაც გადაიდო.

საბოლოო სიტყვა ახლაღა ითქვა. ფედერაციამ გუნდისთვის სამი ქულის ჩამოკლება გადათქვა და ჩაშლილი მატჩის გადათამაშებაც ბრძანა. ის 11 აპრილს სტრასბურში ცარიელი ტრიბუნების წინ გაიმართება.

„მეცს" საქმის ამგვარ შემობრუნებაზე არაფერი უთქვამს, სამაგიეროდ, საფრანგეთის მსაჯთა კავშირი აღშფოთებულა, ჩვენზე ხელის აღმმართველნი მკაცრ სასჯელს იმსახურებდნენო.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლილი | 29 | 15 | 8 | 6 | 35:19 | 53 |
| ნანტი | 29 | 16 | 5 | 8 | 49:34 | 53 |
| ლიონი | 29 | 12 | 13 | 4 | 42:25 | 49 |
| ბორდო | 29 | 13 | 10 | 6 | 40:25 | 49 |
| სედანი | 29 | 13 | 8 | 8 | 39:31 | 47 |
| რენი | 29 | 12 | 6 | 11 | 39:31 | 42 |
| ტრუა | 29 | 11 | 9 | 9 | 42:43 | 42 |
| გენგამი | 29 | 11 | 8 | 10 | 34:38 | 41 |
| ოსერი | 29 | 11 | 7 | 11 | 30:34 | 40 |
| ბასტია | 29 | 11 | 6 | 12 | 36:34 | 39 |
| მონაკო | 29 | 11 | 5 | 13 | 45:42 | 38 |
| პსჟ | 29 | 10 | 6 | 13 | 36:39 | 36 |
| ლანსი | 29 | 8 | 10 | 11 | 31:32 | 34 |
| მარსელი | 29 | 9 | 6 | 14 | 26:34 | 33 |
| მეცი | 28 | 7 | 10 | 11 | 28:39 | 31 |
| სენტ ეტიენი | 29 | 9 | 7 | 13 | 37:47 | 27 |
| ტულუზი | 29 | 5 | 10 | 14 | 26:41 | 25 |
| სტრასბური | 28 | 5 | 8 | 15 | 24:51 | 23 |

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80

# კმაყოფილი უკმაყოფილო



ჰენრიკ ლარსონმა (წინ) „დანდის" ვერ გაუტანა

## შოტლანდია

### გადადებული მატჩები

**აბერდინი 4:1 დანდი იუნაიტედი**
1:0 სტავრუმი (6), 1:1 გრიფინი (12), 2:1 სტავრუმი (29), 3:1 იანგი (42), 4:1 სტავრუმი (84)

**სელტიკი 2:1 დანდი**
1:0 ჯონსონი (5), 1:1 სარა (67), 2:1 მიალბი (84)
დანდი: ლენგფილდი, სმიტი, კოინი, ტვიდი, რავაჭერი, ნემსაძე, მაროკო, გარიდო (კარანსა 60), სარა (ხიზანიშვილი 83), კანიჯა (კაბალიერო 46)
მწვრთნელი: ივანო ბონეტი
59 662 მაყურებელი

**„წარმოუდგენელია.** სიტყვები არ მყოფნის. გადასარევად ვითამაშეთ და მაინც წავაგეთ" — „დანდის" იტალიელი მწვრთნელი ივანო ბონეტი გულგატეხილი გახლდათ, თუმცა თავისი გუნდის შემართებით აღფრთოვანებულმა ისიც თქვა, „სელტიკს" მისსავე მოედანზე მიაწვე და ლროდადრო პანიკაში ჩააგდო, ამას ბევრი ვერ შეძლებსო.

„მიწოლის" სულისჩამდგმელი გიორგი ნემსაძე გახლდათ. სწორედ ქართველის შთამბეჭდავი თამაშის წყალობით გაათანაბრეს სტუმრებმა თამაში, რომელიც „სელტიკის" შტურმით და ადრიანი გოლით დაიწყო— ალან ტომპსონმა ჰენრიკ ლარსონი მოძებნა, შვედმა ტომი ჯონსონს დაუგორა და ამანაც ჯეიმი ლენგფილდს აჯობა. მალე 21 წლის მეკარემ ლარსონის და მიალბის უძლიერესი დარტყმები მოიგერია და მასპინძლებს აგრძნობინა, იძულებითი შეცვლისგან დიდ ხეირს არ ელოდოთო. საქმე ის გახლდათ, რომ დანდელთა ძირითადმა მეკარე როკატიმ მატჩისწინა მოთელვაზე ზურგი იტკინა და ლენგფილდი სწორედ ამის გამო მოხვდა სასტარტო შემადგენლობაში, სათადარიგო გოლკიპერად კი სასწრაფოდ არგენტინელი მცველი ვალტერ რიო გაამწესეს.

კიდევ ერთი პრობლემა სტუმრებს შესვენებისას გაუჩნდათ, როცა მთავარმა მეგოლე კლაუდიო კანიჯამ თამაშის გაგრძელება ველარ შეძლო და ფაბიან კაბალიეროთი შეცვალეს. თუმცა ამან მალე გამონახა საერთო ენა სარასთან და ნემსაძესთან და გლაზგოელთა კართან ხიფათი მომრავლდა. საპასუხოდ მომავალი ჩემპიონის მწვრთნელმა მარტინ ონილმა მოედანზე მაკნამარა შეუშვა და, უპირველესად, ნემსაძის მოთოკვა დაავალა, მაგრამ პირიქით მოხდა — ქართველმა უზადო პასით ხუან სარას ანგარიში გაათანაბრებინა. მალე გარიდოს ძლიერ დარტყმას კათოლიკეთა მეკარე შესწვდა.

„სელტიკი" გონს მოეგო — მაილბი ცენტრფორვარდად მოგვევლინა, ტომპსონმა კი შორეულ დარტყმებს უმატა. ლენგფილმა, სანამ შეძლო, ყველაფერი მოიგერია, მაგრამ დამთავრებამდე 6 წუთით ადრე სტუმართა თავდადება მაინც წყალში ჩაიყარა: „სელტიკი" კუთხურს აწვდიდა და ამ დროს ბონეტიმ თავდამსხმელი სარა ახალწვეული ქართველი მცველით ზურაბ ხიზანიშვილით შეცვალა. კუთხურიდან ჩამოწოდებულს მიალბიმ დაჰკრა...

შედეგად, „დანდიმ" საუკეთესო ექვსეულში მოხვედრის შანსი კიდევ უფრო გაიუარესა, „სელტიკმა" კი კიდევ ერთი სამქულიანი ნაბიჯი გადადგა ჩემპიონობისკენ — შაბათს შინ „სენტ მირენის" დამარცხება ონილის გუნდს თეორიულადაც მიუღწეველს გახდის.

**გიგა კობახიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 32 | 27 | 4 | 1 | 80:24 | 85 |
| რეინჯერსი | 31 | 21 | 3 | 7 | 58:30 | 66 |
| ჰიბერნიანი | 32 | 17 | 9 | 6 | 52:25 | 60 |
| ჰართსი | 32 | 13 | 7 | 12 | 51:43 | 46 |
| კილმარნოკი | 31 | 13 | 7 | 11 | 36:41 | 46 |
| დანფერმლაინი | 32 | 11 | 8 | 13 | 31:46 | 41 |
| დანდი | 32 | 10 | 8 | 14 | 45:41 | 38 |
| აბერდინი | 32 | 8 | 12 | 12 | 37:46 | 36 |
| მოზერუელი | 32 | 10 | 6 | 16 | 36:48 | 36 |
| სტ. ჯონსტონი | 32 | 8 | 11 | 13 | 35:47 | 35 |
| დანდი იუნ. | 32 | 5 | 7 | 20 | 29:57 | 22 |
| სენტ მირენი | 32 | 5 | 4 | 23 | 21:63 | 19 |

## ბულგარეთი

### თასის მეოთხედფინალი

II მატჩები

ცსკა (სოფია) — ლოვეჩი 1:0 (0:3); ბოტევი (პლოვდივი) — ლევსკი (სოფია) 1:2 (0:4); პირინი (ბლაგოევგრადი) (II) — ლოკომოტივი (სოფია) 1:3 (1:4); სპარტაკი (პლევენი) (II) — ველბაჟდი (კიუსტენდილი) 3:3 (1:3)

ნახევარფინალის I მატჩები გაიმართება 18 აპრილს, საპასუხოები კი — 2 მაისს. ფინალი — 24 მაისს.

## ჩეხეთი

### თასის მეოთხედფინალის წილისყრა

10 აპრილს: იაბლონეცი — სლავია
11 აპრილს: ჟიჟკოვი — ტეპლიცე; ბლშანი — ბუდეიოვიცე
12 აპრილს: სპარტა — ბანიკი

## სლოვენია

### თასის ნახევარფინალი

II მატჩები

ნოვო მესტო (II) — ნოვა გორიცა 2:2 (1:3); ოლიმპია — ველენიე 4:1 (2:0)

ფინალში 9 და 16 მაისს ერთმანეთს ლიუბლიანის „ოლიმპია" და „ნოვა გორიცა" შეხვდებიან

## რუმინეთი

### თასის ნახევარფინალი

I მატჩები

როკარი (ბუქარესტი) — პეტროლული (პლოეშტი) 3:0; სპორტული (სტუდენტესკ) (II) — დინამო (ბუქარესტი) 2:2

იყიდება



ორკარიანი ავტომანქანა
„მიცუბიში პაჯერო" ბენზინზე
1986 წლის გამოშვება.
ფასი 3 500
ტელეფონი: 8 (99) 55 16 75

# აბა, პასპორტი მაჩვენე!

## ევროკავშირი სამხრეთამერიკელებს სამშობლოში აბრუნებს

### თაღლითი ვერც კეთილსინდისიერმა აღიარებამ იხსნა

** კარგა ხანია,** რაც მკითხველი „სარბიელის“ ფურცლებზე ევროპაში მიმდინარე საპასპორტო ციებ-ცხელების ქრონიკებს ეცნობა. ორიოდ თვის წინ დაწყებულმა რეიდმა მრავალი თაღლითი გამოავლინა. ამას წინათ კი წესრიგის დამრღვევთა ვინაობასაც მოეფინა ნათელი. გაუწყებდით, რომ საფრანგეთის პირველ დივიზიონში მობურთალი ფარიდ მონდრაგონი, ემილიანო რომეი და პაბლო კონტრერასი ფიფამ, შესაბამისად, სამასი ათასი, ორასი ათასი და ასორმოცდაათი ათასი ფრანკით დააჯარიმა.

ფარედ მონდრაგონს დამატებით ხუთი ათასის გადახდაც დაევალა „რენის“ სასარგებლოდ. „რენის“ თავკაცებს კოლუმბიელის თამაში მათ წინააღმდეგ, როდესაც მას ყალბი ევროკავშირელის პასპორტი უმშვენებდა ხელს, არ გამოჰპარვიათ, მონდრაგონის კლუბმაც ყველაფერი მეკარეს გადააბრალა და კოლუმბიელსაც ახალი ჯარიმა დააკისრა.

ზემოთ ნახსენებმა სამივე სამხრეთამერიკელმა ფეხბურთელმა საფრანგეთში საფეხბურთო წესრიგის დარღვევისთვის სიმბოლურად თითო-თითო ფრანკი ქვეყნის ფედერაციასაც გადაუხადეს, მაგრამ ეს დაცინვა უკანასკნელი სასჯელი არ აღმოჩნდა. სამართალდამცავებმა მათ მკაცრი აღმკვეთი სანქცია დაუწესეს. გადაწყდა, კოლუმბიელი მონდრაგონი, არგენტინელი ემილიანო რომეი და ჩილელი პაბლო კონტრერასი ორი წელი ვერ ითამაშებენ საფრანგეთის პროფესიონალურ ლიგებში. ერთადერთი, ვინც სასჯელს შეეწინააღმდეგა და განსასჯელისთვის ოდითგანვე მინიჭებული ბოლო სიტყვის უფლება გამოიყენა, ემილიანო რომეი გახლდათ.



ფარედ მონდრაგონი

მან ბევრი იწუწუნა, თავი ანგელოზად წარმოაჩინა, თითქოს გულცრფელი აღიარებითაც სცადა სასჯელის შემსუბუქება. თავის გასამართლებლად არაფერს დაერიდა და ყოფილი „კეთილისმქნელი“, ხელისშემწყობი ევროკავშირელი საბუთების მიღების დროს გაწეული სამსახურისთვის დაუფარავად გამოაშკარავა. კონტრერასმა დანიელ ბერტონი დააბეზღა, მაგრამ აქიდან არაფერი გამოვიდა, ისიც მონდრაგონისა და კონტრერასის კვალს გაუყენეს — სამშობლოში დააბრუნეს.

## ბარატა [illegible] ჩვენებას ველარ უარყოფს

**ესპანეთში** მობურთალ სამხრეთამერიკელებს მეზობელ საფრანგეთში მყოფ თანამემამულეთა მსგავსად შავი დღე უდგათ. „რაიო ვალეკანოს“ თავდამსხმელი გუსტავო ბარტელტი, „ტენერიფეში“ მოთამაშე ბარატა და „გრანადას“ მოია განსასჯელთა სკამებიდან შეეცდებიან თავიანთი იტალიური წარმოშობის, შესაბამისად, ევროკავშირელობის დამტკიცებას.

ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ ამას წინათ, იტალიიდან ამ ფეხბურთელთათვის ფრიად სამწუხარო ცნობა მიიღო. იტალიელებმა გულდაგული კვლევის შემდეგ განაცხადეს, მათ დოკუმენტებთან დაკავშირებით პრობლემები აქვთ, სამივეს საბუთები ძალიან დიდ ეჭვებს აღძრავსო. ბარტელტი აღშფოთებულია: „დაუჯერებელია, ამას არ ველოდი, რადგანაც უდანაშაულო ვარ. ჩემი იტალიური წარმოშობაც უკვე დამტკიცებულია და ვერ გამიგია, რას მემართლებიან“. გაკვირვება „რაიო ვალეკანოს“ თავდამსხმელმა მას შემდეგ გამოთქვა, რაც ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ სამივე მოთამაშის გამოძიების დასრულებამდე ფეხბურთიდან მოკვეთა გადაწყვიტა.

არგენტინელი მართლაც უდანაშაულო კაცივით იმართლებს თავს, მაგრამ არა გვგონია, რომ სინდისი მთლად სუფთა ჰქონდეს. მას, როგორც საფრანგეთში გამართული სასამართლო პროცესები გვარწმუნებს, ურცხვი აღიარება, თაღლითთა გამოვლენაში სამართალდამცავებთან თანამშრომლობა უკვე ველარ უშველის.

ბარტელტის მაგვარ განცხადებას კიდევ ერთი სამხრეთამერიკელი, პარაგვაელი დელიო სეზარ ტოლედო აკეთებს. ის „უდინეზეს“ რიგებში 1999 წელს ჩაირიცხა, შემდეგ ბარსელონურ „ესპანიოლში“ განაგრძო კარიერა, მაგრამ დღეს იძულებულია, სამშობლოში დაბრუნდეს. მიზეზი აქაც ყალბი პასპორტია. მართალია, ფეხბურთელი თავს უდანაშაულოდ თვლის, მაგრამ ბარტელტისგან განსხვავებით ბედს ურიგდება და ყოველგვარი აყალმაყალის გარეშე პარაგვაულ კლუბ „ჯერო პორტენოში“ დროებით გადაბარგებას აპირებს: „ვიმედოვნებ, რომ გამოძიება გამამართლებს, ჩემი მიზანი „ესპანიოლში“ დაბრუნებაა. თუ სასამართლომ ჩემთვის საზიანო განაჩენი გამოიტანა, მაშინ შევეცდები, ევროპაში ბედი, როგორც არაევროპელმა ვცადო, მანამდე კი სპორტული ფორმის შესანარჩუნებლად ყოფილ კლუბ „ჯერო პორტენოში“ ვითამაშებ“.


# რესტორანი მზიანი ღამე






**განახლებული მუშაობა გაუმჯობესებული ხარისხით**

**დილის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე**

* პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ — ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე და ნაირგვარობა.
* გსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით

**კუტუზოვის ქუჩა №3**

**(ყოფილი ცირკის სასტუმროს პირველი სართული)**

**მობრძანდით, გვენდეთ: კმაყოფილი დარჩებით**

# დაე, დაიღუპოს მსოფლიო, ოღონდ გადარჩეს ფეხბურთი!



ფეხბურთი და პოლიტიკა: ფიფამ და ევროკავშირმა ხელი ბურთზე მოაწერეს

**სტოკჰოლმში** ევროკავშირის ბოლო სამიტზე, ამ ორგანიზაციასა და ფიფას შორის სატრანსფერო სისტემის რეფორმირებაზე მიღწეული შეთანხმების ხელმოწერის ცერემონიაზე, გერმანიის კანცლერი გერჰარდ შრიოდერი კოლეგების აპლოდისმენტების თანხლებით ბურთით ჟონგლიორობაა. მხიარული სანახაობა იყო.

იქამდე, მთელი ექვსი თვის მანძილზე, ევროკავშირისა და ფიფა-უეფას იურისტები ზუსტად ასევე ჟონგლიორობდნენ კანონებით და არგუმენტებით, თუმც სამხიარულო იმაში არაფერი იყო. ის ექვს თვე ფეხბურთის ისტორიაში რევოლუციისთვის მზადების პერიოდის სახელით შევა. თავად რევოლუცია კი ივლისში გაშლის ფრთებს, როცა ფიფას კონგრესს ახალი წესების დამტკიცება მოუწევს.

საფეხბურთო სამყაროს ახალი წესების ეშინია და იმაზე ფიქრობს, როგორ შეამციროს მისი ზემოქმედება. ამაზე, აქამდეც არაერთხელ გვითქვამს და ახლა კითხვა-პასუხის სახით უკვე მომხდარი შევაჯამოთ და მოსახდენზეც ვილაპარაკოთ.

რატომ არის სატრანსფერო სისტემის რეფორმა უმნიშვნელოვანესი მოვლენა საფეხბურთო ისტორიაში?

კარგა ხანია, „თამაშგარე წესები" არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე ის წესები, რომლითაც ოცდაორი კაცი მინდორზე თამაშობს და რომლებიც საუკუნეზე მეტი ხნის წინ შეიქმნა და დღემდე თითქმის უცვლელია.

დიდი ხანია, ფეხბურთი აღარაა ოცდაორი კაცის ლაღობა.

ფეხბურთი დღეს სარეკლამო საწარმოა, ეკონომიკის მნიშვნელოვანი დარგიც და სოციალური თუ პოლიტიკური ბერკეტიც კი. ზოგიერთ ქვეყანაში საფეხბურთო შემოსავლების წილი ეკონომიკაში რამდენიმე პროცენტს შეადგენს.

სწორედ ამიტომ, სატრანსფერო რევოლუცია სცილდება წმინდა საფეხბურთო ჩარჩოებს და მრავალთა ეკონომიკურ ინტერესს ეხება. სატრანსფერო ცვლილებათა მუხტი ბევრად უფრო ძლიერია, ვიდრე „ბოსმანის წესის", ჩემპიონთა ლიგის დაარსების და ბოლო წლების სხვა სიახლეთა. თუნდაც ის რად ღირს, რომ საფეხბურთო ეკონომიკაში, მოთამაშეები საქონლიდან მთავარ მოქმედ პირებად იქცევიან. ვინც ბოლო იყო, პირველი გახდება — ამ პათოსით ხდებოდა რევოლუციები.

რატომ მიისწრაფოდა ევროკავშირი ასეთი დაჟინებით სატრანსფერო სისტემის შეცვლისკენ? ევროკავშირის იურისტთა მთავარი მოტივი ასეთი გახლდათ — საფეხბურთო წესები ევროკანონებთა, კერძოდ კი შრომის კოდექსთან შესაბამისობაში უნდა იყოსო.

მსოფლიოში არც ერთ მეწარმეს არ მოსდის აზრად, ბალერინებით თუ ექიმებით ივაჭროს. ფეხბურთელებს კი ასტრონომიულ თანხად ჰყიდიან. უზარმაზარი ხელფასების მიუხედავად, ფეხბურთელები დაჩაგრული კლასია. ევროკავშირი ამბობს, რომ ფეხბურთელობა ისეთივე პროფესიაა, ყველა დანარჩენი და მოთამაშეს სამუშაო ადგილის საკუთარი სურვილით შეცვლის და კონტრაქტის ცალმხრივად გაწყვეტის სრული უფლება აქვს — ცხადია, გარკვეული კომპენსაციის საფასურად. თუმცა ისიც ცხადია, რომ აღნიშნული კომპენსაცია ახლანდელ სატრანსფერო ღირებულებებთან შედარებით კაპიკების ტოლი იქნება.

რატომ ეწინააღმდეგებიან ფიფა და უეფა ახალ წესებს?

ფეხბურთელობა სპეციფიკური პროფესიაა, მისი დაუფლება უნივერსიტეტში ლექციების მოსმენით შეუძლებელია — ეს ფიფა-უეფას პოზიციაა.

ფიფაში მსჯელობენ: მოთამაშეები მთელი კარიერის მანძილზე იმაღლებენ კლასს და, შესაბამისად, საკუთარ ფასსაც. ამით, აქამდე კლუბებიც პირდაპირ იყვნენ დაინტერესებულნი. ახლა ყველაფერი თავდაყირა დგება. კომპენსაცია საკმაოდ ბუნდოვანი ცნებაა და კლუბებს მხოლოდ ფეხბურთელთა აღზრდაზე გაწეულ ხარჯს აუნაზღაურებს, მოგებას ვერ მოუტანს. ჰოდა, რა ინტერესი უნდა ჰქონდეთ მათ?

ეს უპირველესად პატარა კლუბების ჯიბეებს ავნებს. მდიდრები მუქთად ან ჩალის ფასად ჩაიგდებენ მოთამაშეებს ხელში. ამით მდიდრებსა და ღარიბებს შორის არსებული ბალანსი დაირღვევა.

მდიდრებიც უკმაყოფილონი რჩებიან. გუნდში ვარსკვლავების ყოლა ტელეტრანსლაციებიდან და რეკლამიდან დიდი შემოსავლის გარანტიაა. და თუ პატარა კლუბები ვარსკვლავების აღზრდით აღარ დაინტერესდებიან, ირიბად მდიდრებზეც იმოქმედებს. ამასთანავე, ბობოლა კლუბებს ფეხბურთელების შეძენაში დიდი ფული აქვთ დასახარჯი („ინტერმა" ბოლო სამ სეზონში სამასი მილიონი გაიღო), ახლა კი მათ სარფიანად გაყიდვას ველარ შეძლებენ. მოკლედ, ევროკავშირი ავსტრია უნგრეთის იმპერატორ ფერდინანდ პირველის დევიზს მისდევს: „დაე, მსოფლიო დაიღუპოს, ოღონდ მართლმსაჯულებამ იმარჯვოს".

რა დაუთმო ევროკავშირმა ფიფას?

ევროკავშირისა და ფიფა-უეფას შორის დიალოგს რეალურად დიალოგი არც ეთქმის. ევრომამებმა ფეხბურთის მამებს მოლაპარაკებების ის ფორმა შესთავაზეს, რომელსაც შანტაჟი ჰქვია — დათანხმდებით რეფორმების ჩვენეულ ვარიანტს ან სატრანსფერო სისტემას საერთოდ გავაუქმებთო.

ზეპ ბლატერს და ლენარტ იუჰანსონს ევროკავშირთან ურთიერთობისთვის ერთადერთი გზა დარჩათ — საქმეში გავლენიანი მეგობრების ჩარევა. ისინიც ჩაერივნენ — გერჰარდ შრიოდერი, ჟაკ შირაკი, ტონი ბლერი, მაგრამ განსაკუთრებულს ვერაფერს მიაღწიეს.

ზოგადად ახალ სისტემაზე საუბრისას შენარჩუნებული წესების ჩამოთვლა უფრო ძნელია, ვიდრე ცვლილებებისა. ფეხბურთის მესვეურებმა მხოლოდ 23-წლამდელთათვის სავალდებულო კომპენსაციის დაწესებას და ეგრეთ წოდებული „დაცული პერიოდის" შემოღებას მიაღწიეს. თუმც კომპენსაციის გამოთვლის პრინციპი დღემდე ბუნდოვანია, ხოლო „დაცული პერიოდის" დარღვევისთვის ფიფა-უეფა ერთწლიან დისკვალიფიკაციას ითხოვდა, რაც ევროკავშირმა ოთხ თვემდე შეამცირა. აი, სულ ეს იყო.



გერჰარდ შრიოდერი

როგორია მოვლენათა განვითარების ყველაზე პესიმისტური ვარიანტი?

საფეხბურთო სამყარო გაუთავებელ სასამართლო პროცესებში და საკომპენსაციო თანხების გაანგარიშებებში ჩაეფლობა. რაკი ფიფა-უეფამ სუპერკლუბთა ინტერესების დაცვა ვერ შეძლო, ისინი განუდგებიან და NBA-ს მსგავს საკუთარ ლიგას შექმნიან. საშუალო და პატარა კლუბები გაკოტრდებიან. ფეხბურთში კაშკაშა ვარსკვლავების რაოდენობა მკვეთრად შემცირდება და ფეხბურთისადმი, როგორც სანახაობისადმი ინტერესი დაეცემა.

როგორია მოვლენათა განვითარების ყველაზე ოპტიმისტური პროგნოზი?

პატარა კლუბებს არაფერი ემუქრებათ, კომპენსაციას სრულად მიიღებენ. ფეხბურთელები მეტ თავისუფლებას იგრძნობენ, რაკი მათი კარიერა მხოლოდ ვიღაცის ნება-სურვილზე არ იქნება დამოკიდებული, თან ტრანსფერებში გადასახდელი ფულის ნაწილი ხელფასის სახით მათ ჯიბეებში აღმოჩნდება. თავისუფლება და გაზრდილი ხელფასი — განა ცუდი მოტივაციაა უკეთ თამაშისთვის? ის ათობით მილიონი, დღეს დიდი კლუბები ტრანსფერებში რომ იხდიან, უმძიმეს ტვირთად აწვება მათ ბიუჯეტებს. მაგალითისთვის, ფიგუს 56 მილიონი „რეალს" დღემდე ვერ გაუსტუმრებია. ასე კი გიჟური მარათონი — ვინ მეტს გადაიხდის, აღარ იქნება. გაუგებარია, არსენ ვენგერის პანიკური შიშიც, ფეხბურთელები გაუთავებლად დაიწყებენ კლუბიდან კლუბში სირბილსო. რატომ უნდა გაუჩნდეთ ამგვარი სურვილი? კაცი თუ კარგი გუნდის სასტარტო შემადგენლობაშია, სხვაგან წასვლით რატომ უნდა გარისკოს.

ახალი სატრანსფერო სისტემის ძირითადი პუნქტები

*1. 23-წლამდელ ფეხბურთელთა სხვა კლუბში გადასვლისას გადაიხდება კომპენსაცია, რომლითაც ძველი კლუბი ფეხბურთელის აღზრდისთვის უნდა დაჯილდოვდეს.*

*2. შეიქმნება „სოლიდარობის მექანიზმი", რომლითაც ფეხბურთელით მიღებული შემოსავალი ყველა იმ კლუბზე გადანაწილდება, რომლებიც მის აღზრდაში მონაწილეობდნენ (სამოყვარულო გუნდების ჩათვლით)*

*3. 18-წლამდელთა საერთაშორისო ტრანსფერები უმკაცრესად გაკონტროლდება და დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კლუბი ფეხბურთელის ზოგადსაგანმანათლებლო მომზადებასაც უზრუნველყოფს და ნორმალური ცხოვრების პირობებს შეუქმნის.*

*4. დაწესდება ორი ხანმოკლე სატრანსფერო ფანჯარა — ზამთარში და ზაფხულში. ფეხბურთელები წელიწადში მხოლოდ ერთხელ შეძლებენ კლუბის გამოცვლას.*

*5. კონტრაქტის მინიმალური ვადა ერთი წელი იქნება, მაქსიმალური — ხუთი.*

*6. 28-წლამდელთათვის პირველი სამი წელი (თუ კონტრაქტი უფრო ხანგრძლივია) „დაცული პერიოდია", რომლის დროსაც კონტრაქტის ცალმხრივად გაწყვეტა არ შეიძლება. უფრო ასაკოვან ფეხბურთელთათვის „დაცული პერიოდი" ორი წელი იქნება.*

*7. „დაცულ პერიოდში" კონტრაქტის ცალმხრივად გაწყვეტისთვის ფეხბურთელი ოთხთვიანი დისკვალიფიკაციით დაისჯება. თუ იგივეს მეორედაც გააკეთებს — ექვსთვიანი დისკვალიფიკაციით.*

*8. ფეხბურთელის ან კლუბის მიერ კონტრაქტის ცალმხრივად გაწყვეტის შემთხვევაში შრომის კოდექსით გათვალისწინებული თანხა გადაიხდება.*

*9. შეიქმნება არბიტრაჟი, რომელიც ყველა სადავო საკითხს გადაწყვეტს. მასში კლუბების და ფეხბურთელთა წარმომადგენლები თანაბარი რაოდენობით იქნებიან, ხოლო თავმჯდომარე დამოუკიდებელი პიროვნება იქნება.*

*10. არბიტრაჟის გადაწყვეტილება საბოლოო არ იქნება და მხარეებს მისი სასამართლოში გასაჩივრება შეეძლებათ.*

**გიორგი დარჯანია**

## ფეხბურთის რუკასთან

**ურუგვაული** „პენიაროლი" „სტრასბურის" პარაგვაელ მეკარე ხოსე ლუის ჩილავერტთან აწარმოებს მოლაპარაკებებს და სეზონის ბოლოს, შესაძლოა, კვლავ სამხრეთ ამერიკაში გადაიბიროს. შეგახსენებთ, რომ ჩილავერტი ფრანგულ კლუბში რამდენიმე თვის წინ „ველეს სარსფილდიდან" ჩაირიცხა. „პენიაროლის" პრეზიდენტმა ხოსე პედრო დამიანიმ განაცხადა: „ჩილავერტი მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი მეკარეა და სასიხარულო იქნება, თუ იგი ჩვენთან მომავალი სეზონიდან ითამაშებს".

**იტალიურ** „ფიორენტინას" სურს, სეზონის ბოლოს „სალერნიტანას" თავდამსხმელი დავიდე დი მიკელე შეიმატოს. 25 წლის ფეხბურთელის გადაბირებას შარშან „ინტერიც" აპირებდა, თუმცა ტრანსფერი ჩაიშალა. ფლორენციელთა დირექტორმა პეპინო პავლინემ ასევე დაადასტურა. „ფიორენტინას" მაისურაში გაისად შესაძლოა „ანკონას" მოთამაშე მარკო სტოსარიც ვიხილოთ. კიდევ ერთი სიახლე „ფიორენტინადან: კლუბს სეზონის ბოლოს, ალბათ, 28 წლის მცველი ალესანდრო პიერინი დატოვებს — იგი „მილანმა" მოიწონა.

**ინგლისური** კლუბები — „ბრედფორდი", „დერბი ქაუნთი", „უიმბლდონი" და „ქოვენთრი", ბელგიური „მეხელენის" საუკეთესო ბომბარდირის იოს ვან ჰაუტენის ხელში ჩასაგდებად იბრძვიან. „პრემიერლიგელებისგან მართლაც მივიღეთ სერიოზული შემოთავაზება. კონკრეტულად ჯერჯერობით არაფერი გადაგვიწყვეტია, ისე, ვან ჰაუტენის სანაცვლოდ 1 მილიონ დოლარზე მეტს მოვითხოვთ" — განაცხადა ბელგიური კლუბის გენერალურმა მენეჯერმა. ვან ჰაუტენმა კი ამ სეზონში „მეხელენის" შემადგენლობაში 7 გოლი გაიტანა.

**გერმანული** „უნტერჰახინგის" თავკაცმა გიუნტერ-ლორანც კიოსტნერმა კლუბთან მიმდინარე შეთანხმება ორი წლით გაახანგრძლივა. მიუხედავად იმისა, რომ გუნდს ბუნდესლიგიდან გავარდნის საფრთხე ემუქრება, ხელმძღვანელობა მწვრთნელს მაინც ენდო. „მოხარული ვარ, კლუბთან თანამშრომლობას უფრო დიდი ხნით რომ გავაგრძელებ, მჯერა, რომ წლეულს ბუნდესლიგაში ადგილს შევინარჩუნებთ" — განაცხადა კიოსტნერმა. აღსანიშნავია, რომ იგი „უნტერჰახინგში" უკვე შვიდი წელიწადია, მუშაობს.

**ესპანურმა** „რაიო ვალეკანომ" უნგრული „უიპეშტის" ბოსნიელი თავდამსხმელი ემირ გრანოვი შეიძინა. ბოსნიის ნაკრების 24 წლის მოთამაშე მადრიდული კლუბის ღირსებას მომავალი სეზონიდან დაიცავს. ესპანელებმა ბოსნიელი თავისუფალი აგენტის სტატუსით გადაიბირეს და მასთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმეს. აღსანიშნავია, რომ „რაიო ვალეკანოში" იგი თანამემამულე ელვირ ბოლიჩთან ერთად ითამაშებს.

**არგენტინელი** ფრანსისკო ფერარო „ვალიადოლიდის" მწვრთნელის პოსტიდან გადადგა. მის ნაცვლად გუნდში სეზონის ბოლომდე პეპე მორე იმუშავებს, რომელიც წარსულში ამ კლუბის მოთამაშე იყო. ფერარო გუნდში ზაფხულიდან მოღვაწეობდა. „ვალიადოლიდმა" ბოლო ოთხი თამაში ზედიზედ წააგო და ახლა პრიმერადივიზიონის ცხრილში მე-15 ადგილზეა. ბოლო ტურში კლუბი „ვალენსიამ" 4:2 დაამარცხა. ფერარო ესპანეთის პირველი დივიზიონის კლუბებიდან გათავისუფლებული მეშვიდე მწვრთნელია.

# ნიკეს თავგადასავალი

ნიკე ის უიშვიათესთაგანი ღმერთქალია, რომლის სახელთან დაკავშირებული ისტორია და თავგადასავლები დღემდე გრძელდება. ამაში, ალბათ, არის რაღაც სიმბოლური, რადგან ნიკე გამარჯვების ღმერთქალია. და სადაც გამარჯვებაა, იქ ბრძოლაცაა, ბრძოლა კი თავისთავად ისტორია და თავგადასავალია. ათენელი მხედართმთავრები გამარჯვებისთვის ხშირად ჯილდოვდებოდნენ ნიკეს ქანდაკებით.

რომაელები გამარჯვების ღმერთქალს ვიქტორიას უწოდებენ. მათ ნიკესაგან პალმის რტოც გადაიღეს თავიანთი ვიქტორიასთვის და მას ეთაყვანებოდნენ. მას გამოსახავდნენ მონეტებზე, ხოლო რომის პაპებმა ლეო და იულიუს II ნიკე მედლის უკანა მხარეს ამოკვეთეს, როგორც რომის ატრიბუტი. გამარჯვებული რომაელი სარდლები კაპიტოლიუმში მადლიერების ნიშნად ვიქტორიას ქანდაკებას დგამდნენ. ქრისტეშობამდე 294 წელს რომის პალატინზე მას სულაც პირველი ტაძარი აუგეს და დააწესეს სალაშქრო ზეიმიც, რომელსაც ყოველ 12 აპრილს იხდიდნენ.

და რაკი ეს დღე ახლოვდება, გავიხსენოთ გამარჯვების ღმერთქალი, მით უმეტეს, რომ საბრძოლო, საომარი და გასამარჯვებელი საქმე თავსაყრელად გვაქვს, ნიკეს კი ჩვენთვის ზურგი შეუქცევია.

ნიკე უნდა გაიხსენონ მუზების მსახურებმაც და სპორტსმენებმაც, რადგან იგი არის არა მხოლოდ ბრძოლისა და გამარჯვების ღმერთქალი, არამედ ნებისმიერი შეჯიბრებისაც. ნიკე თავს დასტრიალებს პაექრობას და სწყალობს ხელოვანთა შორის გამორჩეულს თუ სპორტულ პაექრობაში მონაწილე უძლიერეს ათლეტსაც.

ნიკეს კარგად იცნობდნენ ჩვენი უძველესი წინაპრებიც. ამაზე მეტყველებს ქართველ არქეოლოგთა მიერ ვანის გათხრებისას ნაპოვნი ნიკეს მშვენიერი ქანდაკება.

საერთოდ, სხვა ღვთაებათა შორის ნიკე ხელოვანთაგან ფრიად დაფასებულია. ხელოვნების ნიმუშთა სიმრავლით მას აპოლონის, აფროდიტეს, ჰერასა და კიდევ ერთი-ორი სხვა ღვთაების გარდა ვერავინ შეედრება.

ხელოვნებაში ნიკე წარმოდგენილია ახალგაზრდა, ფრთოსან ქალად (მხოლოდ ათენის ციხეზეა, უფრთო ნიკე), რომელსაც დაფნის გვირგვინი ამშვენებს და ცაში დაფრინავს. ზოგჯერ ეტლითაც დაქრის, ან შეჯიბრების მონაწილეთ თავს დასტრიალებს.

ხელოვნებაში მრავალგზის ასახულ და ცნობილ ნიკეთაგან საუკეთესოდ ითვლება ათამდე გამარჯვების ქალღმერთის ქანდაკება, მათ შორის ვანში ნაპოვნი, მაგრამ გამორჩეულთაგან გამორჩეული მაინც ორია: ერთი პეონიოსის ნიოსის გვიანკლასიკური, ოლიმპიის მუზეუმში ექსპონირებული და მეორე ოლიმპიელი ნიკეს უმცროსი ორეული, ლუვრში დაცული, ძველი წელთაღრიცხვის III საუკუნის სამოთრაკიელი ნიკე. ორივე შედევრია და ორივე ერთი ბედისა. მაგრამ ანტიკური ხანის ათლეტები უკეთ იცნობდნენ ოლიმპიაში უბრწყინვალესი ზევსის ტაძრის პირდაპირ აღმართულ ნიკეს ქანდაკებას, რადგან იგი უფრო ძველია. ამასთან, დაახლოებით 424 წ. ძვ. წელთაღრიცხვიდან პეონიოსის ნიკე 9-მეტრიანი სიმაღლის მარმარილოს კვარცხლბეკიდან გადაჰყურებდა ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ იქ თავმოყრილ ოლიმპიური თამაშების მონაწილეთ. თავად ნიკეს სიმაღლე 2 მეტრი და 60 სანტიმეტრი იყო. ნიკე მნახველთ წარმოუდგებოდა ციდან ჩამოფრენილ ახალგაზრდა, უმშვენიერეს ქალად, რომელსაც ის იყო ფეხი დაუდგამს დედამიწისთვის და ფრთები ჯერაც გაშლილი აქვს, ხელთ კი მომავალი ჩემპიონისთვის განკუთვნილი ჯილდო — ზეთისხილის რტო უპყრია.

ოლიმპიის ნიკე მენდელმა პეონიოსმა მარმარილოსგან „გამოძერწა“. იგი სწორედ ოლიმპიაში მუშაობდა. ვარაუდობენ, რომ დელფოშიც იღწვოდა, მაგრამ მენდელი საჭრეთლის დიდოსტატის უმთავრეს ქმნილებად სწორედ ნიკე ითვლება. მისი გამარჯვების ქალღმერთი მესენიელებს ოლიმპიელი ზევსის ტაძრისთვის უბოძებიათ. მერე, როცა ოლიმპიას ათასი უბედურება დაატყდა ადამიანებისგანაც და სტიქიისგანაც, ნიკემაც სხვა იქაური ქანდაკებების თუ არქიტექტურული ძეგლების ბედი გაიზიარა. იგი მრავალი საუკუნის განმავლობაში მიწისქვეშეთში იყო ჩამარხული



1877 წელს ასეთ დღეში ჩაგდებული იპოვეს პეონიოსის ნიკე



ასე გამოიყურება პეონიოსის ღმერთქალი რესტავრაციის შემდეგ

და ბოლოს ნიკეს, სხვა მრავალთან ერთად, გერმანელი არქეოლოგის ერნსტ კურციუსის ოლიმპიის გათხრების შედეგად 1877 წელს ზევსის ტაძრის საძირკველთან მიაგნეს. მას სახე, ფრთები და ხელები დალეწოდა. წამოსასხამიც თითქმის მთლად შემოძარცოდა.

პეონიოსის ნიკეს პოვნის მერე გამარჯვების ღმერთქალის ახალი ისტორია დაიწყო. ანტიკურობის დიდმა მცოდნე გილერონმა 1896 წელს, როცა თანამედროვეობის პირველი ოლიმპიური თამაშები გაიმართა, მისდამი მიძღვნილი საფოსტო მარკების გამოშვებისას პეონიოსის ნიკეს ქანდაკება გაიხსენა და მას პირვანდელი სახე დაუბრუნა. ნიკე გაიხსენეს მომდევნო ოლიმპიურ თამაშებისადმი მიძღვნილ საბერძნეთის მარკების სერიაზეც. ნიკეს ვხედავთ დიდი ბრიტანეთის მიერ გამოშვებული მარკების სერიაზეც, რომელიც 1948 წლის ლონდონის ოლიმპიურ თამაშებს მიეძღვნა.

ნიკეს ვხედავთ ურუგვაის მარკაზეც, რომელიც 1924 წლის ოლიმპიურ თამაშებში ამ ქვეყნის ფეხბურთელთა ნაკრების გამარჯვების აღსანიშნავად გამოვიდა.

გამარჯვების ქალღმერთის თანამედროვე ისტორიის ყველაზე საინტერესო თავგადასავალი, პირდაპირ თუ ირიბად, სწორედ ფეხბურთს უკავშირდება, რაც დიდი ფათერაკებითაა აღსავსე.

ყველაფერი დაიწყო 1928 წელს, როცა ფრანგ მოქანდაკე აბელ ლაფლეს ფეხბურთში პირველ მსოფლიოს ჩემპიონატში გამარჯვებული ნაკრებისთვის განკუთვნილი პრიზის დამზადება შეუკვეთეს. ორი წლის მერე ლაფლემ ჯილდოდ დაამზადა სწორედ 1,8 კილოგრამიანი ოქროს ფრთოსანი ნიკე, რომელიც ნახევრადძვირფასი ქვებით გაწყობილ პოსტამენტზე იდგა.

ეს ძვირფასი პრიზი, მოგეხსენებათ, პირველად ურუგვაელებმა დაისაკუთრეს, მერე კი ზედიზედ ორჯერ იტალიელებმა მოიპოვეს. მეორე მსოფლიოს ომმა ნიკეს სწორედ იტალიაში მოუსწრო. ფაშისტებისგან რომ გადაერჩინა, ფიფას ვიცე-პრეზიდენტმა, დოქტორმა ოტრინო ბარაზიმ იგი ცხრაკლიტულში კი არ ჩარაზა, არამედ... ფეხსაცმლის ჩვეულებრივ მუყაოს ყუთში ჩააწვინა.

ასე იყო თუ ისე, ბარაზიმ გამარჯვების ქალღმერთი იხსნა, მაგრამ 1966 წლის ერთ მშვენიერ, უფრო სწორედ შავ დღეს, ნიკე გაქრა. იმ დროისთვის მას ჟიულ რიმეს თასი ერქვა. მას ეს სახელი 1946 წელს უწოდეს.



ჟიულ რიმეს ოქროს ნიკეს დღეს სურათებზეღა ვხედავთ.
ინგლისის ნაკრების კაპიტანი ბობი მური ოქროს ნიკეს ქანდაკებით ხელში



ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV საუკუნის ვერცხლის მონეტა ფრთოსანი ნიკეს გამოსახულებით





მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის ემბლემა

ჟიულ რიმე, მოგეხსენებათ, 1921-დან 1954 წლამდე ფიფას პრეზიდენტი გახლდათ. მისი სახელობის თასი ინგლისის მსოფლიოს ჩემპიონატის [illegible] 20 მარტს გაქრა. ამ ამბის თაობაზე ცნობილი ჟურნალისტები [illegible] ფედოსოვი თავიანთ წიგნში, „ფეხბურთის ალბიონი 1966“, წერენ:

„თასი ვესტმინსტერის ცენტრალ-ჰოლში ინახებოდა, სადაც ექსპონირებული იყო სამი მილიონი ფუნტი სტერლინგის საერთო ღირებულების მარკების გამოფენა. მაგრამ, ქურდმა, რომელიც ცენტრალ-ჰოლში დაახლოებით დილის 11 საათზე შეიპარა, ზედაც არ შეხედა ასეთ სიმდიდრეს, მან მხოლოდ მისთვის ცნობილი დრიბლინგით „გვერდი აუარა“ ექვს დეტექტივს, რომლებიც იცავდნენ გამოფენას, მოხსნა თასი სტენდიდან და...

თითქოს ბედის დაცინვა იყო, ქურდობა სწორედ იმ მომენტში მოხდა, როდესაც შენობა დაახლოებით სამასი მეთოდისტით გაივსო, რომლებიც ბუნებრივია აქ სალოცავად მოვიდნენ არა ფეხბურთის ქალღმერთის, არამედ თავიანთი ღმერთის წინაშე. კიდევ უფრო ირონიული და სიმბოლური ის არის, რომ ქურდი მათი გალობისა და საორღანო მუსიკის აკომპანიმენტის ქვეშ მოქმედებდა“.

ამ ისტორიაში უცნაური ის იყო, რომ ოქროს ნიკე სულ რაღაც... 40 გირვანქა სტერლინგად დაუზღვევიათ.

უპრიანია აქვე იმის გახსენებაც, რომ ფინალის მონაწილე 16 გუნდის განაცხადში შეყვანილი 350 ფეხბურთელი ლოიდის კანტორის მიერ დაუზღვევიათ 20 მილიონ გირვანქა სტერლინგად. მათგან ყველაზე ძვირად დაზღვეული გახლდათ პელე — 250 ათასი გირვანქა სტერლინგი, ლოიდს დაზღვეული ჰქონდა მატჩებიც მათი მოულოდნელი გადადებისგან, რაც შეიძლებოდა გამოეწვია ათას მიზეზს: უამინდობას და სამეფო გვარის რომელიმე წევრის სიკვდილს ან პოლიტიკურ გადატრიალებას თუ ომის დაწყებას.

მაშინ არც ერთი მომხდარა, არც მეორე და არც მესამე, აი, ღმერთქალი კი დაკარგეს ინგლისელებმა, მაგრამ, როგორც იტყვიან, ყველაფერი კარგია, რაც კარგად მთავრდება და ერთი კვირის მერე ნიკე ისევე მოულოდნელად გამოჩნდა, როგორც გაქრა. იმ დღეს, უკვე ნამდვილად მშვენიერ დღეს, 26 წლის დევიდ კორბეტი — ტემზაზე მოცურავე ბარჟის მატროსი — როცა თავის 2 წლის კოლის ჯიშის ძაღლ პინკლზსთან ერთად სეირნობდა...

თუმცა, თავად დევიდის ნაამბობი გავიხსენოთ:

— მოულოდნელად ჩემი ძაღლის ყურადღება რაღაცამ მიიპყრო. ვხედავ ძაღლი გაზეთში გახვეულ საგანს დასტრიალებს. ფორმით პატარა ქანდაკებას ჰგავს. ვხსნი და ვხედავ წარწერას: „გერმანია, ურუგვაი, ბრაზილია“ და ღმერთქალის ქანდაკებას. უმალ გავვარდი და საპოლიციო უბანში მივარბენინე.

ამისთვის პინკლზმა და მისმა პატრონმა ჯილდოდ 3000 ფუნტი მიიღეს, იმ ოინბაზის პროგნოზი (გერმანია, ურუგვაი, ბრაზილია), გეხსომებათ, არ გამართლდა. და რაკი პინკლზი იმ ისტორიის მერე საყოველთაოდ ცნობილი გახდა, ისიც გეხსომებათ, რომ იგი 1973 წელს მოკვდა, მაგრამ მისი სახელი ნიკეს ისე დაუკავშირდა, ეტყობა, უკვდავია.

მაგრამ ოქროს ნიკეს ისტორია თუ თავგადასავალი სულაც არ გასრულებულა. 1970 წელს იგი ბრაზილიის ნაკრებმა მესამედ მოიგო და სამუდამო მფლობელობაშიც გადასცეს. იმ დღიდან ნიკეს დრო, 13 წელიწადი რომ გავიდა, გამარჯვების ქალღმერთის თავს ისევ უბედურება დაატყდა — იმ დღეს, 1983 წლის 19 დეკემბერს ვიღაც მამაკაცი ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციის შტაბ-ბინაში შევარდა, დარაჯი გათოკა და ნიკე გაიტაცა. ბრაზილიის პოლიცია და მთელი ინტერპოლი პინკლზს მისტიროდა. საქმეს ვერც პელესა და როველინოს მიერ საჯაროდ ქურდის ნამუსზე შეგდებამ უშველა. ამიტომ ერთი წლის მერე ფათერაკებიანი თასის ასლი დაამზადეს.

მაგრამ ასლი მაინც ასლია და ალბათ იმის იმედიც აღარავის აქვს, რომ საუკუნეების მერე იმ ოქროს ნიკეს არქეოლოგები სადმე იპოვიან.

მანამდე კი...

მანამდე გამარჯვების ქალღმერთი ცოცხლობს მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის (იააფ) ემბლემაზე...

**ავთანდილ გურასაშვილი**

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# დათვის გედის სიმღერა

4 აპრილი

**ორლანდო 108:101 ბოსტონი**

ორლანდო: მაკგრეიდი (34 ქულა, 11 პასი, 8 მოხსნა), ოუთლოუ (21)

ბოსტონი: უოლკერი (24), პირსი (17 ქულა, 11 მოხსნა, 7 პასი)

**მინესოტა 83:79 პორტლენდი**

მინესოტა: გარნეტი (18 ქულა, 18 მოხსნა, 6 პასი), ლოპესი (16)

პორტლენდი: სმიტი (13), უოლესი (13)

**შარლოტი 94:103 ფინიქსი**

შარლოტი: ვესლი (22), რობინსონი (18), დევისი (17)

ფინიქსი: კიდი (29 ქულა, 10 პასი, 7 მოხსნა, 4 ჩაჭრა), მარიონი (25)

**დეტროიტი 84:90 ფილადელფია**

დეტროიტი: ბაროსი (16)

ფილადელფია: მუტომბო (21 ქულა, 16 მოხსნა), ლინჩი (18)

**კლივლენდი 94:97 ტორონტო**

კლივლენდი: ვეზერსპუნი (22 ქულა, 12 მოხსნა), პერსონი (16)

ტორონტო: კარტერი (32), დევისი (19), კლარკი (16)

**ვაშინგტონი 84:86 მაიამი**

ვაშინგტონი: ალექსანდერი (25), ჰამილტონი (16)

მაიამი: მურნინგი (16), გრანტი (16 ქულა, 12 მოხსნა)

**გოლდენ სტეიტი 78:108 მილუოკი**

გოლდენ სტეიტი: ჯემისონი (17), კამინგსი (16)

მილუოკი: რობინსონი (26 ქულა, 13 მოხსნა), ალენი (26), კასელი (17)

**ვანკუვერი 86:78 კლიპერსი**

ვანკუვერი: აბდურ-რაჰიმი (24), ბიბი (14 ქულა, 13 პასი)

კლიპერსი: ოდომი (18 ქულა, 9 მოხსნა, 8 პასი)


AP მინეაპოლისიდან

მინესოტა — პორტლენდი. მინესოტელმა ფელიპე ლოპესმა პორტლენდელთა კალათი მოსრა

რაც უფრო ახლოვდება პლეი ოფი, მით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ყოველ გამარჯვებას, მარცხი კი გაცილებით მწვავედ აღიქმება, ვიდრე, ვთქვათ, ერთი თვის წინ. ისინი, ვინც თავიანთი კონფერენციის მოწინავე რვა გუნდში მოხვედრა დაიბევეს, იქ უკეთესი ადგილის დათრევას ლამობენ და ამავდროულად საჩემპიონო ბრძოლის წინ საკუთარ ძალებსაც ამოწმებენ. პლეი ოფამდე დარჩენილი ორი კვირა შეიძლება გენერალურ რეპეტიციადაც ჩაითვალოს.

„პორტლენდ თრეილ ბლეიზერსის" საჩემპიონო ვარდისფერი ოცნება რეგულარული ჩემპიონატის დაისზე თანდათან ნაცრისფერი ხდება. „ბლეიზერსმა" მორიგი შეხვედრა დათმო, რომელიც წესით უნდა მოეგო თუნდაც იმიტომ, რომ საზოგადოდ მეტოქეზე, „მინესოტაზე", ძლიერ გუნდად ითვლება. თანაც „მინესოტამ" ამ უახლოეს დღეებში მძიმე ბრძოლების ქარტეხილში გამოიარა და „პორტლენდზე" ნაკლები ჯანი შერჩა. იგებდა კიდეც „პორტლენდი" თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში, მაგრამ როცა საჭირო იყო, მაშინ ვერ ივარგა და გამარჯვებაც ხელიდან გაუფრინდა. შეხვედრის დამთავრებამდე ექვსი წუთით ადრე „მინესოტა" 70:74 აგებდა, როცა მასპინძლებმა — კევინ გარნეტმა და ვალი შჩერბიაკმა (15 ქულა) ერთი მონაკვეთი 8:0 მოაგებინეს „მგლებს" და თავისიანები შეხვედრაში პირველად დააწინაურეს. აქ კი უპასუხა „ბლეიზერსმა", სტუდემაიერმა და დევისმა ხუთი ქულა მიითვალეს და კვლავაც „პორტლენდი" დაწინაურდა 79:78, თუმც სტუმრებმა ვეღარაფერი გააწყვეს მასპინძელი ფელიპე ლოპესის სამქულიანის შემდეგ. ლოპესმა სტუმართა კალათი საფინალო სირენამდე 50 წამით ადრე შორი მანძილიდან დალაშქრა, რამაც ფსიქოლოგიურად გატეხა ორი თვის წინ დასავლეთის საუკეთესო, ახლა კი მხოლოდ მეექვსე გუნდი. მისმა ლიდერებმა — რაშიდ ვოლესმა და სტივ სმიტმა ისეთი ბურთები ააცილეს, გამწარებულებმა თავში ხელები წაიშინეს, ეს რა მივქარეთო, თუმც ეს წახდენილ საქმეს რაღას უშველიდა.

„მინესოტამ" ამ სეზონში აჯობა „პორტლენდს", ოთხი თამაშიდან სამი მოუგო, რაც მანამდე არასოდეს მომხდარა. „მინესოტა" 1989 წელს დაარსდა და ამ სეზონამდე მუდამ „პორტლენდის" საკრივო მსხალს წარმოადგენდა. „მგლებმა" თავიანთი გამარჯვებით არამარტო „ბლეიზერსს" გაუფუჭეს საქმე, არამედ „ჰიუსტონსა" და „სიეტლსაც" და იქნებ ეს ორი მოცილე საბოლოოდაც ჩამოიცილეს.

„პორტლენდი" დასავლეთში მეექვსე კი არის, მაგრამ არც ისე მყარად უპყრია ეს ადგილი, რომ თავი იმედიანად იგრძნოს. მით უმეტეს, ახლა, როდესაც ყოველ მეორე თამაშს აგებს, მისი მდევარი „ფინიქს სანზი" კი შესანიშნავ ფორმაშია. აგერ, ფინიქსელებმა ბოლო ცხრა თამაშიდან მერვედ იმარჯვეს და ახლა „პორტლენდს" ერთი გამარჯვებით ჩამორჩებიან. „ფინიქსი" შარლოტს სტუმრობდა და იქაურ „კრაზანებთან" პირველი ნახევრის შემდეგ 39:56 აგებდა, მეორე ტაიმში კი მასპინძლებს რისხვად მოევლინა პირველში უქმად მყოფი სტუმართა თეთრი ლიდერი ჯეისონ კიდი. მეორე ნახევარში მან 25 ქულა გააკეთა და თავისიანთა გამარჯვებასაც სული შთაბერა.

ერთი დღის წინ „მაიამის" მძლეველ პლეი ოფზე მეოცნებე „ბოსტონს" მეორე ფლორიდულმა გუნდმა „ორლანდომ" სძლია და მის კონკურენტ „ინდიანაზე" ქვევით დასწია.

ბოსტონელებმა თავი მოიკლეს, ლამის კბილებით იომეს, მაგრამ ვერას გახდნენ. ორლანდოელთა 21 წლის სუპერვარსკვლავმა ტრეისი მაკგრეიდიმ აშკარად დაჩაგრა ბოსტონელთა ასევე ჯეელი ლიდერი პოლ პირსი, რომელმაც მარტის საუკეთესო მოთამაშის ტიტული არავის დაანება, ამ თამაშში კი მიზანმა უმტყუნა, რაც მის გუნდს წაგებად დაუჯდა. მან რომ 15 სროლიდან 11 ააცილა, ამაში მაკგრეიდის ხელიც ურევია. ორლანდოელს იმ დღით თურმე ზურგი წამოსტკივებია, თუმც ამან ხელი ვერ შეუშალა, 34 ქულა ჩაეგდო, ზედ ბლომად მოხსნა-პასებიც მიეყოლებინა და დაცვაშიც ესახელა თავი.

„ბოსტონთან" წაფორხილების შემდეგ „მაიამი" ლამის უსახურ „ვაშინგტონთანაც" შერცხვა. მაიამელთა ნაავადმყოფარმა ცენტრმა ალონზო მურნინგმა დაბრუნების შემდეგ საუკეთესო თამაში ჩაატარა — 16 ქულა, 8 მოხსნა და სამი დაფარება გაუხერხა თავისიანებს და ამას მხოლოდ 24 წუთი მოანდომა. მურნინგს კარგა ხანია, არ უთამაშია, სერიოზული ავადმყოფობის გადატანაც მოუხდა, ამიტომაც მწვრთნელი პატ რაილი დიდი ხნით მის მოედანზე შეშვებას ერიდება. როდესაც მურნინგი მესამე მეოთხედის ბოლოს საბოლოოდ გავიდა თამაშიდან, მისი თანაგუნდელები 11-ქულიან უპირატესობას კი ფლობდნენ, მაგრამ იმდენი ქნეს, გამარჯვება ლამის მეტოქეს გადაულოცეს. „ვაშინგტონს" დეფიციტის აღმოსაფხვრელად უბრალოდ, დრო არ ეყო.

ძლივს გადაურჩა მარცხს კიდევ ერთი აღმოსავლელი ბობოლა, „ფილადელფია სიქსერზი". ამ ბოლო კვირებში ხშირად წამგები ფილადელფიელები „დეტროიტს" სტუმრობდნენ და ერთბაშად სამ წამყვან კალათბურთელს მოისაკლისებდნენ. ამ სამიდან თუ ტაირონ ჰილის და აარონ მაკკის შეცვლა ასე თუ ისე შეიძლება, ლიგის პირველი მექულის, ალენ აივერსონის არყოფნას უთუოდ დიდი ზიანი უნდა მიეყენებინა „სიქსერზის" თამაშის ხარისხისთვის და ასეც მოხდა. „ფილადელფია" დეტროიტელთა ლიდერის და ლიგის მეორე მექულის, ჯერი სტეკჰაუზის ხელის სიმრუდემ იხსნა. წინა დღით სტეკჰაუზმა „ჩიკაგო ბულზს" ლიგისთვის წლეულს სარეკორდო 57 ქულა ჩაუგდო, „ფილადელფიასთან" კი ხელი აუკანკალდა, 19 სროლიდან 14 გააფუჭა და იმ 57 ქულის მეოთხედი (14 ქულა) თუ გაახერხა. არადა, სტეკჰაუზს „სიქსერზთან" თავის გამოჩენის სურვილი ჰკლავდა, რადგან მის რიგებში 1995-97 წლებში უთამაშია და დღეს იქ იმიტომ არ არის, რომ ოთხი წლის წინ უთხრეს, აივერსონს ხელს უშლიო და სხვაში გაცვალეს.

ამიერიდან 4 აპრილი ღირსსახსოვარი დღე იქნება კანადური „ვანკუვერ გრიზლიზისთვის", რადგან „დათვებმა" ამ დღეს „კლიპერსი" დაამარცხეს და არსებობის მანძილზე მეასედ გაიმარჯვეს. ამ ერთი ასეული გამარჯვების გვერდზე აშკარად ყვირის 353 მარცხი, თუმც მუდმივად ცუდ გუნდად ცნობილ „დათვებს" მაინც უხარიათ. ეს გამარჯვება მათთვის სეზონში 22-ე იყო, რაც კლუბის რეკორდის გამეორებაა. კიდევ ერთი თამაშის მოგება და „ვანკუვერი" ახალ რეკორდსაც შესწვდება, რაც მას უსათუოდ მშვენიერ ხასიათზე დააყენებს გადასახლების წინ. ეს სეზონი იქნებ ბოლო აღმოჩნდეს ვანკუვერში „დათვებისთვის". დიდი შანსია, მომავალ სეზონს ისინი ქალაქ მემფისში შეხვდნენ.

**ირაკლი ფირცხალავა**

# წინ, ერთიანი ევროპისკენ!

## ოფიციოზმა და ამბოხებულებმა საერთო ენა გამონახეს

## დაპირისპირება დასრულდა!

**ორად** გახლეჩილი ევროპის საკლუბო კალათბურთი გაერთიანდა. 2001-2002 წლებში ბებერ კონტინენტზე კვლავ ერთხელისუფლებიანობა დაისადგურებს და ევროპის ყველა ძლიერი კლუბი ერთ ტურნირში ერთი ჯილდოსთვის იბრძოლებს.

შეგახსენებთ, რომ შარშან მაისში ევროპის კლუბების ნაწილი განუდგა სამოყვარულო კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციას (ფიბა) და ევროპის საკალათბურთო ლიგების კავშირი (ულებ) დააარსა. ამბოხებულებმა ალტერნატიული ევროტურნირი დააფუძნეს და მას „ევროლიგა" უწოდეს. თავის მხრივ, ფიბა-მაც გამართა ანალოგიური შეჯიბრება და მას „სუპროლიგა" უწოდა.

ხანმოკლე გამოდგა ფიბა-სა და ულებ-ის დაპირისპირება. შარშან გამიჯნული მხარეები წლეულს 4 აპრილს შეხვდნენ ერთმანეთს მიუნხენში და ერთგვარ მშვიდობიანი თანაცხოვრებისა და თანამშრომლობის პაქტს მოაწერეს ხელი.

2001-2002 წლების სეზონიდან ევროპის უმთავრეს საკლუბო შეჯიბრებას კვლავ „ევროლიგა" ერქმევა. შეჯიბრების ემბლემა, ანუ ლოგო ისეთივე იქნება, როგორც წლევანდელი სუპროლიგის, ოღონდ იქიდან დასახელება „სუპროლიგა" ამოიშლება. თავად ულებ-ი ფიბა-ს სტრუქტურაში შევიდა. ამდენად, მომავალი ევროლიგის უმთავრესი ორგანიზატორი ფიბა იქნება. იგი იზრუნებს შეჯიბრების სპორტულ მხარეზე. რაც შეეხება ულებ-ს, იგი ევროლიგის ეკონომიკურ საკითხებზე, მარკეტინგზე, მენეჯმენტზე, რეკლამასა და სხვა ამგვარზე იზრუნებს.

მომავალი ევროლიგა გაფართოვდება და მასში 32 კლუბი ითამაშებს. აქედან 21 უკვე ცნობილია. კიდევ რვა კლუბს წარმოადგენენ კონკრეტული ქვეყნების ფედერაციები, ხოლო სამი კლუბი ევროლიგაში შესარჩევი ეტაპის მერე მოხვდება.

თუმცა, მივყვეთ თანმიმდევრობით.

### 2001-2002 წლების ევროლიგაში ითამაშებენ

**ხორვატია: ციბონა, ზადარი**
**ინგლისი: ლონდონ თაუერზი**
**საფრანგეთი: ვილეურბანი, პო ორტეზი**
**გერმანია: სკაილაინერზი, ალბა**
**საბერძნეთი: ოლიმპიაკოსი, პანათინაიკოსი**
**ისრაელი: მაკაბი (თელ ავივი)**
**იტალია: კინდერი, ფორტიტუდო, ბენეტონი**
**ლიტვა: ჟალგირისი**
**რუსეთი: ცსკა**
**სლოვენია: ოლიმპია**
**ესპანეთი: რეალი, ბარსელონა**
**თურქეთი: ეფესი, ულქერი**
**იუგოსლავია: ბუდუჩნოსტი**

### 8 კლუბს წარადგენენ შემდეგი ფედერაციები

**ბელგია (1), საბერძნეთი (2), იტალია (1), პოლონეთი (1), ესპანეთი (2), იუგოსლავია (1)**

### შესარჩევ ეტაპზე იასპარეზებენ შემდეგი ფედერაციის კლუბები

**ბელგია, ხორვატია, საფრანგეთი, გერმანია, ისრაელი, ლიტვა, პორტუგალია, რუსეთი, სლოვენია, შვედეთი, შვეიცარია, თურქეთი**

თითოეული ფედერაცია წარადგენს თითო კლუბს. შესარჩევი ეტაპი გაიმართება 2001 წლის ივლისში. თამაშები ოლიმპიური სისტემით და მიმოსვლით მოეწყობა. თორმეტი კლუბიდან ჯერ დარჩება ექვსი, შემდეგ — სამი, რომლებიც მიიღებენ კიდეც მონაწილეობას 2001-2002 წლების ევროლიგის გათამაშებაში.

სანამ ეს მოხდება, ფიბა-ს და ულებ-ს ჯერ წლევანდელი ტურნირები აქვთ დასამთავრებელი, შესაბამისად, სუპროლიგა და ევროლიგა. 2001 წლის ოქტომბერში მოეწყობა ამხანაგური ტურნირი ოთხი გუნდის მონაწილეობით. მასში ითამაშებენ წლევანდელი სუპროლიგის და ევროლიგის ფინალისტები.

## ევროლიგა

ნახევარფინალი (სამ მოგებამდე)

პირველი მატჩის გადათამაშება. 4 აპრილი

**აეკ 65:90 ტაუ**

აეკ: სტეფანოვი (6), პანტელიადისი (1), კიკილიასი, ჰამინკი (7), ხაძისი (13), ქუთლუაი (12), დიკუდისი (5), მოსხუ, ბეტსი (12), კაკიუზისი (9)

ტაუ: სკოლა (7), გარსია, ბენეტი (5), ფუარე (4), ვიდალი (2), ტიმინსკასი (7), შტომბერგასი (39), ალექსანდერი (18), ობერტო (8), კორჩიანი

*ტაუ 2:0 იგებს სერიას*
*მესამე მატჩი გაიმართება 7 აპრილს*



აეკ-ის სათადარიგოთა სკამი სასოწარკვეთილია

ევროპის კადეტთა ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი

# ქართველებმა იტალიელები დაიბრიყვეს

**სლოვაკეთში** მიმდინარე ევროპის კადეტ კალათბურთელთა ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე საქართველოს ნაკრებმა ზედიზედ მეორე გამარჯვება მოიპოვა. გუშინ ქართველებმა 76:75 მოუგეს იტალიელ თანატოლებს. შეგახსენებთ, რომ ეს გუნდები საკვალიფიკაციო ტურნირზეც შეხვდნენ ერთმანეთს და მაშინ ჩვენმა ყმაწვილებმა 30 ქულით იმარჯვეს.

შესარჩევ ტურნირს დაუმარცხებლად ლიდერობენ საქართველო და საფრანგეთი. დღეს ჩვენი კადეტები გერმანელებს ხვდებიან. თუ ეს მატჩი მოიგეს, პრაქტიკულად გაინაღდებენ ფინალურ ეტაპზე გასვლას. შეგახსენებთ, რომ ექვსგუნდა ჯგუფიდან ფინალში სამი გუნდი გადის.

მეორე ტური. 5 აპრილი

**საქართველო 76:75 იტალია**

**საქართველო:** ათუაშვილი (2), ჩაჩლეიშვილი (2), გამყრელიძე, მარხვაშვილი (4), მარკოიშვილი (21), მდივანი (12), ორდენიძე, სანიკიძე (3), საყვარელიძე (17), ვაშაკიძე (15), ზანგურაშვილი

**იტალია:** ბენფატო (4), ბოლკატო (5), ბოსინი (22), კორონინი (4), კონსტანტინო, ფანტონი (22), ფერი (2), ნეგრი, პინ დალ პოსი (5), სორენტინო (11), ტრიონფო

**საფრანგეთი 86:50 გერმანია**

პირველი ტური. 4 აპრილი

**პოლონეთი 58:79 საქართველო**

**პოლონეთი:** ბოციანოვსკი (4), კესიცკი, კონდრაციუკი (2), კოტლიარჩუკი, კუსპერი (2), ლამპე (20), მალესა (9), მროჩეკი, პუსჩინსკი (5), სოკალი (8), შლიახტოვიჩი (2), ვოიციხკი (6)

**საქართველო:** ათუაშვილი (4), ჩაჩლეიშვილი (4), გამყრელიძე, მარხვაშვილი (14), მარკოიშვილი (21), მდივანი (8), ორდენიძე (2), სანიკიძე (10), საყვარელიძე (6), ვაშაკიძე (8), ზანგურაშვილი (2)

**გერმანია 86:85 სლოვაკეთი**

**საფრანგეთი 83:67 იტალია**



# ხელები მაღლა!

## ქართველმა პრეზიდენტმა პატივისცემა იგრძნო

*28-29 მარტს საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი ბიძინა გეგიძე დანიაში იმყოფებოდა. კოპენჰაგენში რაგბის საერთაშორისო საბჭოს (IRB) რიგით მეხუთე ყრილობა ჩატარდა. ასეთი სარაგბო ყრილობები ორ წელიწადში ერთხელ ეწყობა. პირველი 1992 წელს იყო ბრისტოლში (ინგლისი), მეორე 1994-ში ვანკუვერში (კანადა), მესამე 1996 წელს რომში (იტალია), მეოთხე კი 1999 წელს ბუენოს აირესში (არგენტინა). ქართველთაგან ამ უდიდეს სარაგბო შეკრებას ზედიზედ მესამედ დაესწრო ბიძინა გეგიძე და თბილისში დაბრუნებულს ყრილობის თაობაზე დავეკითხეთ.*



— ეს ყრილობა, როგორც იცით, ორ წელიწადში ერთხელ იმართება და მასზე მთელი მსოფლიოს სარაგბო თემის წარმომადგენლები იყრიან თავს. მეხუთე ყრილობას დანიის დედაქალაქ კოპენჰაგენმა უმასპინძლა. მინდა გითხრათ რომ საორგანიზაციო საკითხები უმაღლეს დონეზე იყო მოგვარებული. მასპინძლებმა ყველა ღონე იხმარეს, მშვენიერი სამუშაო ატმოსფერო რომ გვქონოდა ყრილობის დელეგატებს.

რაც შეეხება თვითონ ყრილობას, რომელსაც სხვანაირად IBR-ის „GENERAL MEETING"-ს (გენერალური შეხვედრა) ეძახიან, საკმაოდ ნაყოფიერად ჩატარდა. დილის ცხრა საათიდან საღამოს რვა საათამდე ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობდა. რაგბის საერთაშორისო საბჭოს (IRB) თავმჯდომარე, ვერნონ პიუმ, ჩატარებული სამუშაოების ანალიზი წარმოადგინა, მერე უკვე სამომავლო გეგმებზეც ისაუბრა. პიუს მსგავსად თავიანთი მოხსენებებით გამოვიდნენ IRB-ის მედიამენეჯერი, ახალი ზელანდიის რაგბის კავშირის ხელმძღვანელი ფიშერი და FIRA-AER-ის პრეზიდენტი ჟან-კლოდ ბაკე. მერე მოეწყო კენჭისყრა, რომელსაც მომავალი ყრილობის მასპინძელი ქვეყანა უნდა გაერკვია. იყო სამი კანდიდატურა — ავსტრალია, მაროკო და პორტუგალია. სამივე ქვეყნის წარმომადგენელმა სხვადასხვა ფორმით წარადგინა თავისი ქვეყანა კენჭისყრაზე. ავსტრალიელი მარტო სიტყვით გამოვიდა და თქვა, რომ სურვილი აქვთ, ამ მეტად პრესტიჟულ კონგრესს 2003 წლის მსოფლიოს თასის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე უმასპინძლონ. პორტუგალიელთა წარმომადგენელმა ვიდეო და ფოტო მასალები წარმოადგინა, სადაც ასახული იყო ლისაბონის სასტუმროები და ის დარბაზები, სადაც ყრილობის ჩატარებას აპირებდნენ. მაროკოს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა აზიზ დუხჯაალემ თხოვნითაც მოგვმართა ყრილობის წევრებს, რომ მისი ქვეყნისთვის დაგვეჭირა მხარი და ეს გრანდიოზული მასშტაბის ფორუმი მაროკოში ჩაგვეტარებინა. საბოლოოდ მოეწყო კენჭისყრა და გაიმარჯვა ავსტრალიამ.

გარდა ამისა, იქ იყო ძალიან სერიოზული საუბარი რაგბის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შეტანაზე. ახლა ყველა ველოდებით საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ახალი პრეზიდენტის არჩევას. როგორც იცით, ხუან ანტონიო სამარანჩი ტოვებს თავის თანამდებობას და წლეულს უკვე ახალ პრეზიდენტს აირჩევენ. ამის შემდეგ IRB-ის თავმჯდომარე ვერნონ პიუ კონკრეტულად დაელაპარაკება ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელობას.

ის, რომ რაგბი ოლიმპიური სახეობა ხდება, ამაზე უკვე ერთსულოვანი აზრია. ჩვენ, საქართველოს რაგბის კავშირი, ვითანამშრომლებთ საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტთან, რათა მათ თავიანთი წილი ხმითა და ავტორიტეტით ლობირება გაგვიწიონ. მით უმეტეს, რაგბიში, გინდა შვიდკაცა იყოს და გინდა თხუთმეტკაცა, სერიოზული წარმატებების მიღწევა შეგვიძლია. ერთი რამ კი ცხადია, 2004 წლის ოლიმპიადაზე ათენში რაგბის საჩვენებელი მატჩები მოეწყობა, 2008 წელს კი რაგბი უკვე ოფიციალურად გახდება ოლიმპიური სახეობა. რა ფორმით იქნება ეს, ჯერ არ გარკვეულა. მხედველობაში მაქვს შვიდკაცა და თხუთმეტკაცა რაგბი.

ამ საკითხის განხილვის შემდეგ ყრილობის ორგანიზატორებმა წარმოგვიდგინეს ფრანგული ჯგუფი „მულტიმედია" რომელიც თავის ხელთ არსებული საინფორმაციო საშუალებებით მოახდენს რაგბის პროპაგანდას მთელი მსოფლიოს მასშტაბით. გარდა ამისა, მცირე დრო დაეთმო მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურნირის ჩატარების სისტემას. ახალი არაფერი თქმულა. ჯერჯერობით ყველაფერი ისე დატოვეს, როგორც დღეს არის, შესარჩევ ტურნირის შეცვლაზე საუბარი სამომავლოდ გადადეს.

**— თქვენ თუ წარადგინეთ რაიმე პროექტი?**

— არა, რადგან ამ ყრილობაზე რაიმე პროექტების თუ აზრების განხილვა არ ხდებოდა. ძირითადად მიდიოდა ჩატარებული სამუშაოების შეჯამება და რაგბის განვითარების სამომავლო გეგმების განხილვა. ყრილობაზე გავეცანით ბოლო წლების სტატისტიკას. მხედველობაში მაქვს მაყურებლის დასწრება, ფინანსური შემოსავლები, ტელე-რეპორტაჟები და ათასი სხვა. შედეგით გავოცდი. რაგბი დღითიდღე პოპულარული ხდება მთელ მსოფლიოში. აქედან გამომდინარე, IRB-ის ხელმძღვანელობა მომავალში გაცილებით მასშტაბური ღონისძიებების ჩატარებას აპირებს, ვიდრე დღეს. ეს საუკუნე რაგბის საუკუნედ უნდა იქცეს.

**— კოპენჰაგენში მთელი სარაგბო ელიტის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ. ჩვენი ბოლოდროინდელი პროგრესი შენიშნეს?**

— დიახ, აშკარად გამოხატული პატივისცემით და მოწიწებით შემხვდნენ. ესპანელი დიდმოხელე, ეპალსა მოვიდა ჩემთან და ხელები მაღლა აწია, ეს რა მაგრები ყოფილხართო. არადა, ეპალსა IRB-ში და იგივე FIRA-AER-ში საკმაოდ გავლენიანი პიროვნებაა. სხვებისგანაც ვიგრძენი ჩვენი აღიარება და პატივისცემა, იმ ხალხისგანაც კი, ვისაც გულზე არ ვეხატებოდით და თავიანთ ძირითად კონკურენტად მიგვიჩნევენ.

**— შოტლანდიელთა წარმომადგენელს თუ შეხვდით და მოსალოდნელ ამხანაგურ მატჩზე თუ ელაპარაკეთ?**

— შოტლანდიელთა წარმომადგენელს შევხვდი, მაგრამ ამ მატჩზე არაფერი მითქვამს. ამხანაგური მატჩის ჩატარების ინიციატივა მათი მთავარი მწვრთნელისგან წამოვიდა. თვითონ არაფერი უთქვამს, ჩემი მხრიდან ამის შეხსენება ან მატჩის ჩატარების თაობაზე საუბარი არაკორექტული იქნებოდა. გარდა ამისა, მოდით, ვთქვათ სიმართლე: შოტლანდიელებს სტუმრად სურთ თამაში, ჩვენ დღეს არ გაგვაჩნია იმის სახსრები, რომ საფრანგეთიდან ლეგიონერები ჩამოვიყვანოთ და მატჩის ორგანიზება მოვახერხოთ.

**ბაჩო სვანიძე**



# კრივალოგია

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ოსკარ დე ლა ჰოიამ** ყოფილ პრომოუტერს, მისგან ფრიად ნალანძღ ბობ არუმს ბოდიში მოუხადა. მისი ინტერვიუ რომელიც ესპანურ „ლა ოპონიონში" დაიბეჭდა ფრიად ზღვარგადასული გამოდგა.

„გასულ კვირაში მიცემულ ინტერვიუში ჩემს ყოფილ პრომოუტერზე, ბობ არუმზე ისეთი რაღაცეები ვილაპარაკე რასაც დღეს ვნანობ. არუმისა და მისი ოჯახის შეურაცხყოფა არ მიფიქრია, არც მის ეროვნებასა და რელიგიურ მრწამსს ვეხები. დიდ ბოდიშს ვუხდი ყველას, ვისაც უნებლიედ გული ვატკინე. პირიქით, მე მადლობელი ვარ იმ დახმარებისთვის, არუმმა წლების განმავლობაში რომ გამიწია. მისი წყალობით მრავალ წარმატებას მივაღწიე და ნუ იფიქრებთ, რომ ბოდიშს მხოლოდ საჯაროდ ვიხდი, არუმს უკვე დავურეკე პირადად" — განაცხადა დე ლა ჰოიამ.



ოსკარ დე ლა ჰოია ბოდიშს იხდის

**კით ჰოლმსი,** WBC-ს ვერსიით საშუალო წონის ჩემპიონი, რომელსაც 38 ბრძოლიდან 36 აქვს მოგებული (მათგან 24 ნოკაუტით), აცხადებს, რომ მისი მეტოქე, IBF-ის ქამრის მფლობელი, ბერნარდ ჰოპკინსი ბინძური მოკრივეა.

„ბებერ ძაღლს ახალ ილეთებს ვერავინ ასწავლის. ჰოპკინსი ბოლომდე ბინძურ კაცად დარჩება, მაგრამ მე მისი ხრიკები კარგად ვიცი და თავსაც გავართმევ. მეც შემიძლია ბინძური ხერხების გამოყენება, თანაც მზად ვარ წელსქვემოთ დარტყმას ყოველწამს ველოდო. იმედი მაქვს ჩემი მწვრთნელი იმდენს მოახერხებს, რომ ოფიციალურმა პირებმა იმ დღეს საგანგებოდ გაამახვილონ ყურადღება".

შემდეგ ჰოლმსმა განაგრძო: „ბინძური ხრიკების გამო ჰოპკინსი დიდი მოკრივე ვერასდროს გახდება. ამ ხერხებით შესაძლოა აქა-იქ კონკრეტულ მეტოქეებს აჯობოს, მაგრამ დიდ მოკრივეობაზე ლაპარაკიც ზედმეტია".

ბინძური ჰოლმსი კი ამასობაში მშობლიურ მერილენდში ვარჯიშობს და 14 აპრილს ნიუ იორკის „მედისონ სკვერზე" საბრძოლველად ემზადება. მეტოქეზე კი ასე ამბობს:

„ვატყობ, რომ მოწინააღმდეგეების ეშინია. აბა, რა საჭიროა საკუთარი თავის ასეთი პანიკური მოტივაცია. მე რომ მშიშარა ვიყო, ამ ბიზნესში თავს საერთოდ არ შევყოფდი".

**სამხრეთ აფრიკაში** ჩასულმა ჰასიმ რაჰმანმა კარნავალ სიტის „ბიგ ტოპ არენაზე" უამრავი ხალხის თვალწინ ივარჯიშა და, როგორც ჩანს, დიდი ვერაფერი შთაბეჭდილება დატოვა. მძიმე წონის უპირობო ჩემპიონის, ლენოქს ლუისის მოწინააღმდეგე სპარინგ-პარტნიორს, კის სალისს ეკრივა.

„გარწმუნებთ, ამჟამად მხოლოდ 40 პროცენტით ვარ მზად. საბრძოლო მზადყოფნამდე დიდი გზაა, მაგრამ ამ გზის გასავლელად დრო საკმაოდ მაქვს" — განაცხადა პრეტენდენტმა.

**მსოფლიოს** ყოფილმა ჩემპიონმა, უფრო სწორად კი ორგზის ჩემპიონმა ჯუნიორ ჯონსმა ნასიმ ჰამედსა და მარკო ანტონიო ბარერას შორის გამარჯვებულთან ჩხუბი მოიწადინა. მოგეხსენებათ, ჰამედი და ბარერა ერთმანეთს ხვალ საღამოს ლას ვეგასში უნდა შეხვდნენ. თავად ჯონსი კი რინგს 19 აპრილს, მანუელ სეპედას წინააღმდეგ ბრძოლით უბრუნდება და ჰამედ-ბარერას ამბავზე ლაპარაკობს.

„მათ ჩხუბში, ჩემი აზრით, მთავარი პირველი დარტყმა იქნება. ბარერა უკიდურესად ძლიერი ბიჭია, ნასიმთან მე პირადად არასდროს მიჩხუბია, მაგრამ შორიდან ისიც ძლიერის შთაბეჭდილებას სტოვებს. ალბათ, ბრძოლა დიდხანს არ გაგრძელდება, მაგრამ ლამაზი სანახავი კი უნდა გამოვიდეს. თუ ბარერა გაიმარჯვებს, მისი შემდგომი მიზანი მხოლოდ და მხოლოდ ჩემთან ჩხუბი უნდა იყოს. მე იგი ორჯერ დავამარცხე და წესით შურისძიებაც უნდა სწადდეს. ხოლო თუ ნასიმი მოიგებს, მაშინ ჩემი და მისი დიდი დაპირისპირება გაიმართება. ეს ბრძოლა სამჯერ ჩაიშალა, ახლა იქნებ დაადგეს საშველი".

**ბოლო** ხანს ხმა დაირხა, რომ მექსიკური კრივის ლამის უკვე ლეგენდა ხულიო სეზარ ჩავესი WBA-ს და WBC-ს ჩემპიონ, ველტერის წონოსან კოსტია ძიუსთან ჩხუბს აპირებს. ძიუმ ეს რომ გაიგო თქვა, ჯობდა კრივიდან სულ წასულიყო, უკვე 38 წლისააო.

„რა უნდა, რაღას ამტკიცებს? მისი კარიერა ხომ, ფაქტობრივად, დასრულებულია. მას საკმაო ხანი აქვს რინგზე გატარებული და დამტკიცებული აქვს, რომ დიდი მოკრივეა. მე თუ მკითხავთ, მას მეტი ბრძოლა აღარ სჭირდება" — განაცხადა ავსტრალიელმა, რომელსაც უახლოეს მომავალში თურქ ოქთაი ურქალთან ელის ურთიერთობის გარკვევა.

ახლა, ვინ არის ეს ურქალი. ის ბერლინში ცხოვრობს, კარიერაში 28 ბრძოლა აქვს გამართული და ყველა მოგებული, აქედან 9 ნოკაუტით. დღეს 31 წლისაა 1996 წლის. ატლანტის ოლიმპიადაზე ვერცხლის მედალოსანი გახდა. ძიუსთან შედარებით იგი რამდენიმე სანტიმეტრით მაღალია და კრივის ევროპულ სკოლას წარმოადგენს. ასეთ მოკრივეებთან ჩხუბს ძიუ გადაჩვეულია, რადგან ბოლო წლებში ძირითადად ამერიკელებთან და მექსიკელებთან უწევს რინგზე გასვლა.

ერთიხანობა ამბობდნენ, რომ ძიუ ამ ბრძოლის მოწყობას თავის პირველ სამშობლოში, რუსეთში აპირებდა, მაგრამ შემდეგ ამერიკაზე შეჩერდნენ.

**ინდონეზიელი** მოკრივე მუჰამედ ფარიძი ტაილანდელ კონგტავატ ორასთან ბრძოლაში მიღებული ჭრილობების გამო გარდაიცვალა. ფარიძი სამი დღის განმავლობაში კომაში იყო, ორშაბათს კი მისმა ორგანიზმმა ველარ გაძლო.

ფარიძსა და ორას რაიმე ტიტულისთვის არ უჩხუბიათ. ისინი ჯაკარტის სამხრეთით, ბოგორში დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ბრძოლა ორას გამარჯვებით — ტექნიკური ნოკაუტით — დასრულდა.

სტატისტიკის თანახმად ბოლო ათწლეულის განმავლობაში სულ მცირე ათი ინდონეზიელი მოკრივე გარდაცვლილა.

**ბაჩუნა ძიდია**

# სარბიელი

## სპორტული ლატარია კროკო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **გერმანია. ბუნდესლიგა. 28-ე ტური** | | | |
| | | **6 აპრილი** | | | |
| 23.15 | 001 | კოტბუსი-ვოლფსბურგი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| | | **7 აპრილი** | | | |
| 18.30 | 002 | აინტრახტი-ლევერკუზენი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 18.30 | 003 | კიოლნი-უნტერჰახინგი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 18.30 | 004 | ვერდერი-ჰერტა | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 18.30 | 005 | ფრაიბურგი-ჰამბურგი | 1,85 | 3,1 | 3,8 |
| 18.30 | 006 | მიუნხენი-ბოხუმი | 1,5 | 3,6 | 5,6 |
| 23.15 | 007 | დორტმუნდი-ბაიერნი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| | | **8 აპრილი** | | | |
| 20.30 | 008 | შალკე-კაიზერსლაუტერნი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 20.30 | 009 | ჰანზა-შტუტგარტი | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა. 28-ე ტური** | | | |
| | | **6 აპრილი** | | | |
| 22.00 | 010 | ნიურნბერგი-ზაარბრიუკენი | 1,45 | 3,3 | 7,0 |
| 22.00 | 011 | დუისბურგი-ჰანოვერი | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| | | **7 აპრილი** | | | |
| 18.00 | 012 | ვალდჰოფი-ფიურტი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 18.00 | 013 | ალენი-ქემნიცი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | | **8 აპრილი** | | | |
| 18.00 | 014 | კიკერსი-არმინია | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 18.00 | 015 | მაინცი-ობერჰაუზენი | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 18.00 | 016 | ალემანია-ულმი | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 18.00 | 017 | ზანქტ პაული-ოსნაბრიუკი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | | **9 აპრილი** | | | |
| 23.15 | 018 | როიტლინგენი-მიონხენგლადბახი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა. 32-ე ტური** | | | |
| | | **7 აპრილი** | | | |
| 19.00 | 019 | ასტონ ვილა-ვესტ ჰემი | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 19.00 | 020 | დერბი-ჩელსი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 19.00 | 021 | ლიდსი-საუთჰემპტონი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 022 | ლიდსი-საუთჰემპტონი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 19.00 | 023 | ლესტერი-ქოვენთრი | 1,55 | 3,5 | 4,7 |
| | | **8 აპრილი** | | | |
| 19.00 | 024 | ევერტონი-სიტი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| | | **9 აპრილი** | | | |
| 24.00 | 025 | მიდლსბრო-სანდერლენდი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| | | **ინგლისი. I დივიზიონი. 41-ე ტური** | | | |
| | | **6 აპრილი** | | | |
| 23.45 | 026 | ბარნლი-პრესტონი | 2,4 | 3,2 | 2,5 |
| | | **7 აპრილი** | | | |
| 19.00 | 027 | ქრიუ-ბოლტონი | 2,7 | 3,2 | 2,3 |
| 19.00 | 028 | ფულემი-ვესტ ბრომვიჩი | 1,45 | 3,4 | 6,5 |
| 19.00 | 029 | ჯილინგემი-ნორვიჩი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 19.00 | 030 | გრიმსბი-ტრანმერი | 1,75 | 3,3 | 3,8 |
| 19.00 | 031 | პორტსმუთი-ნოტინგემი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 032 | ქუინზ პარკი-ბლექბერნი | 3,4 | 3,1 | 1,9 |
| 19.00 | 033 | შეფილდი-ბარნსლი | 1,55 | 3,4 | 5,0 |
| 19.00 | 034 | სტოკპორტი-უენსდი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 19.00 | 035 | უოტფორდი-კრისტალ პალასი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 19.00 | 036 | უიმბლდონი-ბირმინგემი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 19.00 | 037 | ვულვერჰემპტ.-ჰადერსფილდი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| | | **ინგლისი. II დივიზიონი. 41-ე ტური** | | | |
| | | **7 აპრილი** | | | |
| 18.30 | 038 | როვერსი-სუონსი | 1,7 | 3,3 | 4,2 |
| 19.00 | 039 | ბერი-ბრისტოლი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 19.00 | 040 | კემბრიჯი-რედინგი | 3,0 | 3,1 | 2,1 |
| 19.00 | 041 | ლუტონი-სტოკი | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| 19.00 | 042 | მილუოლი-როტერჰემი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 19.00 | 043 | ნოტსი-კოლჩესტერი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 19.00 | 044 | ოქსფორდი-ოლდემი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 045 | პორტ ვეილი-უოლსოლი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 19.00 | 046 | სუინდონი-ნორთჰემპტონი | 2,3 | 3,1 | 2,6 |
| 19.00 | 047 | უიგანი-ბრენტფორდი | 1,45 | 3,3 | 7,0 |
| 19.00 | 048 | რექსემი-პიტერბრო | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| | | **ინგლისი. II დივიზიონი. გადადებული მატჩი** | | | |
| | | **9 აპრილი** | | | |
| 23.45 | 049 | პორტ ვეილი-როვერსი | 1,85 | 3,0 | 4,0 |
| | | **ინგლისი. III დივიზიონი. 41-ე ტური** | | | |
| | | **7 აპრილი** | | | |
| 19.00 | 050 | ბარნეტი-ჩელტენემი | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| 19.00 | 051 | ბლეკპული-როჩდეილი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 19.00 | 052 | კარდიფი-ტორკი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 19.00 | 053 | ჰალიფაქსი-ბრაიტონი | 2,9 | 3,2 | 2,1 |
| 19.00 | 054 | ჰალი-სკანთორპი | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 19.00 | 055 | ლეიტონი-ჩესტერფილდი | 2,3 | 3,2 | 2,7 |
| 19.00 | 056 | ლინკოლნი-კარლაილი | 1,9 | 3,1 | 3,4 |
| 19.00 | 057 | მაკლსფილდი-კიდერმინატერი | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 19.00 | 058 | მენსფილდი-დარლინგტონი | 1,85 | 3,1 | 3,6 |
| 19.00 | 059 | პლიმუთი-ექსეტერი | 1,65 | 3,2 | 5,0 |
